ქ ე ჯ ი

„... და მაშინ
განიხარონ ყოველთა
ქართველთა“

№14, ოთხშაბათი, 30 მაისი – 5 ივნისი, 2001 წელი

ფასი 40 თეთრი

საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდამჭერი მიტინგი პოლიციამ სასტიკად დაარბია

2001 წლის 26 მაისს კანონიერი ხელისუფლების მიერ რესპუბლიკის მოედანზე ჩატარებული სახალხო შეკრება ვანდალურად იქნა დარბეული.

რამდენიმეათასიანი მიტინგის სისხლიანი დარბევის შედეგად კანონიერი ხელისუფლების 170 მომხრე სხვადასხვა სახის ღია ჭრილობით მოთავსებულ იქნა საავადმყოფოებში. ყოველივე ამის წინაპირობად კი უნდა ჩაითვალოს 24 მაისს მანანა არჩვაძე-გამსახურდიას ლიკვიდაციის მიზნით განხორციელებული ტერაქტი.

გვ. 3

1 ივნისი ქართველთა განმანათლებლის მოციქულთა სწორის წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის დღეა

„სიტყვისა ღმრთისა მსახურთა თანამოსაგრეო და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, ქართველთა განმანათლებელო და სულისა წმიდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის. ამინ.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობაში შევარდნაძის დავალებით რუსეთის სპეცსამსახურები და უშიშროების ადგილობრივი ძალები მონაწილეობდნენ

გვ. 3

შალვა ნათელაშვილი:

ამ ხელისუფლებამ ყველაფერი ნაგვართვა სამხედრო გადატრიალებითა და არჩევნების გაყალბების დაკანონებით

გვ. 4

ეს გამეტეება საბოლოოდ დაღუპვისათვის

მაწანწალა ბავშვთა რიცხვმა ჩვენში 6000-ს გადააჭარბა, მოზარდთა უმრავლესობა ექვბს და პოულობს ისეთ წრეს, რომელშიც საშუალება ექნება თავისი მოთხოვნების რეალიზაციისა

გვ. 2

ზურაბ გოგოხია

«ვინც ამ ძმობას წაშლის»...

აფსუებმა მძევლად აყვანილ შუქრი მგელაძეს მაჯა გადაუხსნეს და მის სისხლს ჭიქებით სვამდნენ

გვ. 5

მეცნიერება

ალიტერაცია ზვიად გამსახურდიას პოეზიაში

გვ. 7

გაყიდული ომის ტრიუმფატორი

„სახელგანთქმული“ დამარცხებული რაინდები პატრონმა რკინ-მედლებითა და ჩინებით დააჯილდოვა

გვ. 5

არქიმანდრიტი რაფაელი
აბორტის ცოდვის შესახებ

გვ. 6

მრუდე სარკე და სინამდვილე

ვითომ ანგელოზი „დემოკრატი“ მომხდარში თავად მოსახლეობას ადანაშაულებს

გვ. 8

პოეზია

სინანულის კალენდარი

გვ. 7

გერმანე აფრასიძე: ეს გამეტებაა საბოლოოდ დაღუპვისათვის

არასრულწლოვანთა დანაშაულობა ერთ-ერთი ურთულესი და უმნიშვნელოვანესი რეალობაა, რომლის წინაშეც დგას საზოგადოება და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ პრობლემის მეტ-ნაკლები წარმატებით გადაწყვეტაზე ბევრადაა დამოკიდებული ერის, ჯანსაღი საზოგადოების მომავალი.

ქვეყანაში დანაშაულობათა საერთო სურათზე რომ არაფერი ვთქვათ, არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხი მით უფრო აქტუალური გახდება, თუკი სტატისტიკურ გამოკვლევებს გადავხედავთ. კერძოდ, გამოკვლევებით დადგინდა, რომ მართლწესრიგის დამრღვევი რეციდივისტები პირველ დანაშაულს, როგორც წესი, სრულწლოვნების მიღწევამდე ჩადიან, ანუ ეს არის ის ასაკი, რომელშიც ხშირ შემთხვევაში სახეზე გვაქვს დანაშაულის ჩადენისაკენ მიდრეკილება და ასევე ხშირ შემთხვევაში არასრულწლოვანთა დანაშაულობა. ასეთ შემთხვევაში პრობლემისადმი სწორი, კომპლექსური მიდგომა შესაძლებელს გახდის პირი საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბდეს, ან პირიქით, გაუმართლებელი, არასწორი ღონისძიების გატარებით ივიგე საზოგადოებას კიდევ ერთი დანაშავე შეემატოს, რომელიც ძალიან ხშირ შემთხვევაში იმეორებს თავის ქმედებას, ანუ დანაშაულს.

ცხადია, რომ ისევე როგორც სრულწლოვნთა, ასევე არასრულწლოვანთა დანაშაულსაც თავისი მიზეზები გააჩნია. ზოგადად რომ ვთქვათ, ყოველი პრობლემის გადაჭრა მისი ზუსტი მიზეზის თუ მიზეზების დადგენას გულისხმობს.

გამომდინარე აქედან, რაოდენ სამწუხაროა, რომ ზოგჯერ ამ მიზეზებს თვით საკანონმდებლო დონეზე აქვს ადგილი. ქვემოთ საუბარი გვექნება სისხლის სამართლის ახალ კანონზე, რომლითაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი 14 წლით განისაზღვრა.

უნდა აღინიშნოს, რომ დამნაშავისა და დანაშაულებრივი ქცევის მიზეზების ახსნის განსხვავებული შეხედულებები არსებობს. ეს შეხედულებები სამ ძირითად მიმართულებად იყოფა: ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური. ვფიქრობ, მოცემული საკითხის განხილვისათვის აუცილებელია მოკლედ შევეხოთ თითოეულ მათგანს.

ბიოლოგიური თეორიიდან ყველაზე ფართოდ გავრცელდა „თანდაყოლილი დამნაშავის" თეორია, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა იტალიელმა ექიმ-ფსიქიატრმა ჩლომბროზომ. ამ შეხედულების მიხედვით, ადამიანს დანაშაულებრივი ხაზი გადაეცემა მემკვიდრეობით, რაც დანაშაულებრივი ქცევის ძირითად მიზეზს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ამ თეორიამ დიდი ხნის მანძილზე იარსება, საბჭოთა სისტემის პირობებში, როდესაც ადამიანის გენოტიპის 80 %-ით გაშიფვრა მოხერხდა, დადგინდა, რომ გენეტიკა ცნობილი ქრომოსომული ანომალიის xyy პირობებში ადამიანის გენოტიპში ერთით მეტი ქრომოსომის არსებობაც კი საფუძვლად ედება დევიანტურ ქცევას და რომ ეს ანომალია მემკვიდრეობით გადადის. კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ არასწორია ამა თუ იმ თეორიისა თუ შეხედულების ხელაღებით უარყოფა, რასაც ხშირად ჰქონდა ადგილი საბჭოთა ეპოქის პირობებში.

დანაშაულებრივი ხაზის მემკვიდრეობითობაზე იმიტომ მივანიშნეთ, რომ მართალია, იშვიათად, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვანის მიმართ გატარებულ არც ერთ ღონისძიებას შედეგი არ მოაქვს. აქ უკვე საუბარი იწყება მოზარდის მიერ ადრეულ ასაკში ოჯახში გადატანილ ფსიქიკურ ტრამვებზე, თუმცა რაიმე დარღვევა ამ მხრივ პირს არ აღენიშნება. ასეთ მოზარდებს პროფ. ვ. ვასილევი „რთულ მოზარდებს" უწოდებს. ცხადია, ასეთ შემთხვევებში გენეტიკური ანომალიის გამორიცხვა არ შეიძლება და ვინაიდან ასეთი პირები საზოგადოებისათვის საფრთხის მუდმივ წყაროა, მათი იზოლირება აუცილებელია.

დანაშაულებრივი ქცევის მიზეზის ახსნის ფსიქოლოგიური მიმართულებიდან ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა და სარგებლობს დღესაც ზ. ფროიდის ფსიქოანალიტიკური თეორია. მოკლედ უნდა ითქვას, რომ ამ თეორიის მიხედვით ადამიანთა ქცევის (მათ შორის დანაშაულებრივის) განმსაზღვრელია არაცნობიერი იმპულსები. ისინი თავიანთი შინაარსით ასოციალურნი არიან და მათი წყარო ბიოლოგიურ ინსტიქტებშია, მაგრამ ვინაიდან ადამიანს გააჩნია ცნობიერება და ზნეობრივი ნორმები, რომლებიც ცენზორის როლს ასრულებენ, არაცნობიერი იმპულსები ვეღარ ახერხებენ ქცევის მთლიან დეტერმინაციას. ამასთან დაკავშირებით ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი ე. ჰილდგარი წერდა: „თანამედროვე ფსიქოლოგიამ დაამსხვრია მოაზროვნე ადამიანის („ჰომოსაპიენსის") ხატი, რომელთა მეშვეობით ხდება ადამიანის ქცევების განსაზღვრა და ეს იმპულსები ან წარსულის მემკვიდრეობაა, ან ადამიანში ბავშვობიდან არის ჩადებული".

შევეხოთ არასრულწლოვანთა დანაშაულს უშუალოდ. ცხადია, მას თავისი სპეციფიკა ახასიათებს. მოზარდები დანაშაულებრივი ქცევის ძირითად მიზეზად ასახელებენ მოთხოვნილებებს, ანუ მათი ქცევის განმსაზღვრელი მოთხოვნილების იმპულსია. ისინი მიუთითებენ მაგ. „მოვიპარე ფული იმიტომ, რომ მინდოდა კინოს ნახვა", ან „მაგნიტოფონის ყიდვა" და ა.შ. როგორც ვხედავთ, მოზარდებისათვის მთავარია აქტუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რომელთა იმპულსები მათ უშუალოდ მართავენ.

საფიქრებელია, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევა აქტუალური მოთხოვნილებებით გამოწვეული იმპულსური ქცევაა. რაკიღა მოთხოვნილებებს შევეხეთ, უნდა აღინიშნოს, რომ გარდამავალ ასაკში მოზარდს უჩნდება თავისუფლებისა და დამოუკიდელობის მოთხოვნილება. „აღნიშნული მოთხოვნილება იმდენად ძლიერია - წერს გ.მერაბიშვილი - რომ მოზარდი ხშირად ამაყობს იმით, რომ უფროსს ყურს არ უგდებს. მოქმედების ძალის მიხედვით გარდამავალი ასაკიდან ყველას პრესტიჟის მოთხოვნილება სჭარბობს, რომელსაც შეუძლია სხვა მოთხოვნილებათა ბლოკირება და მათი იმპულსების შეზღუდვა". დადგენილია, რომ პრესტიჟის მოთხოვნილება ნელი ტემპით ვითარდება უმცროს სასკოლო ასაკში, ხოლო გარდამავალი ასაკის დასაწყისში აღწევს მაღალ ტემპს და ამ ასაკის ბოლოს ძირითად მოთხოვნილებად იქცევა. აღსანიშნავია ასევე პოპულარობის მოთხოვნილება, რომელიც ისე დიდია, რომ მისი უგულვებელყოფა იწვევს დაუფიქრებელ გამოხდომებს, რომლის ერთ-ერთი მოტივი ყურადღების მიქცევაა. ასევე უნდა ითქვას, რომ იმპულსური ქცევა არსებითად სწორედ მოთხოვნილებას უკავშირდება, ხოლო ნებისმიერი ქცევა კი - არა, იგი ნებისყოფით აღიძვრება. „ნებისყოფის მომენტის გამო კავშირი გარეშე სიტუაციის იმპულსებსა და ადამიანის ნებისყოფით მოქმედებას შორის უშუალო და ერთმნიშვნელიანი კი არ არის, არამედ გაშუალებულია შეგნების მომენტის გამო. ადამიანში წარმოქმნილი აქტუალური მოთხოვნილება ნებაყოფლობითი ქცევის დროს უშუალოდ როდი გადადის მოძრაობაში. ნებისყოფა მოქმედებისათვის საჭირო ენერგიას სხვა წყაროებში ნახულობს და არა მოთხოვნილების დაკმაყოფილების უშუალო იმპულსში. იმპულსურ ქცევას შეგნების მომენტი წინ არ უსწრებს.

ასეთი შემთხვევაში მოთხოვნილებასა და მოქმედებას შორის მყარდება პირდაპირი და უმოკლესი კავშირი. შედეგად მოთხოვნილების იმპულსი და შესაბამისი სიტუაცია ქმნის შესაბამისი ქცევის განწყობას და ადამიანის მოქმედებას წინ აღარაფერი უდგას: როგორც დ. უზნაძე მიუთითებს, იმპულსური ქცევები სუბიექტური ცნობიერების წარმართვის გარეშე მიმდინარეობენ.

როგორც აღვნიშნავთ, მოზარდებს აქტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსები უშუალოდ მართავენ. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათი დანაშაულებრივი ქცევა აქტუალური მოთხოვნილებებით გამოწვეული იმპულსური ქცევაა, ეს კი მოზარდების ნებაყოფლობითი, ემოციური სფეროების ჩამოუყალიბებლობის, მდგრადობის არქონის ბრალია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ისმება კითხვა, რამდენად გამართლებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის 14 წლით განსაზღვრა, თუკი საკითხს ფსიქოლოგიური კუთხით მივუდგებით?

ცხადია, ეს არაა გამართლებული. კერძოდ, საფიქრებელია, რომ კანონმდებელმა პასუხისმგებლობის ასაკად 14 წლის დადგენისას საფუძვლად აიღო როგორც არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა რიცხობრივი ზრდა, ასევე იმ მომენტი, რომ ამ პირთა ინტელექტუალური, გონებრივი შესაძლებლობანი ბოლო პერიოდში ადრეულ ასაკში ყალიბდება და მოზარდებს შეცნობილი აქვთ, თუ რომელი ქმედებაა დანაშაული და რისგან უნდა შეიკავონ თავი, მაგრამ აღნიშნული არ გულისხმობს მოზარდების ნებისყოფის, ემოციური მდგრადობის ჩამოყალიბებას.

დიდია ალბათობა იმისა, რომ როგორც კი შესაბამისი სიტუაცია შეიქმნება და აქტუალურ მოთხოვნილებას ექნება ადგილი, ეს პირები დანაშაულს ჩაიდენენ, მიუხედავად იმისა, შეგნებული ექნებათ თუ არა მათ თავიანთი ქმედების შინაარსი. ცხადია, ასეთ სიტუაციაში იმ პირთა სხვა სოციალურ გარემოში მოხვედრა (ციხეში თუ სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში) ხელს ვერ შეუწყობს მათი ნებისყოფის ჩამოყალიბებას. პირიქით, ეს უკვე ჩამოყალიბებულის ნგრევასაც გამოიწვევს და ჩვენ სახეზე ნამდვილი დამნაშავე პიროვნება გვეყოლება.

თავის დროზე, როდესაც ამერიკელი სოციოლოგი ფ. ხარტუნგი დაუძლეველი იმპულსის კონცეფციას აკრიტიკებდა, მიუთითებდა, რომ შეუძლებელია იმის დადგენა, პირები დანაშაულის ჩადენის დროს დაუძლეველი იმპულსის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებიან თუ არა. დაუძლეველი იმპულსის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ დროს ადამიანს შეუძლია შეიგნოს თავის მოქმედების შინაარსი (კერძოდ, ის, რომ ქმედება საშიშ ხასიათს ატარებს). მთლიანობაში ეს გულისხმობს იმას, რომ პირი შერაცხადია და მას შეიძლება პასუხი მოეთხოვოს. ამასთან, თუკი დაუძლეველი იმპულსის გავლენის გამო ადამიანი კარგავს კონტროლს თავის მოქმედებაზე, მაშინ ის შეურაცხადია და უდანაშაულო, თუნდაც შეგნებული ჰქონდეს, რომ დანაშაულს ჩადის. აქედან გამომდინარე, დაუძლეველი იმპულსის კონცეფცია ემყარება იმას, რომ სამი ძირითადი და ცნობილი სფერო ადამიანის პიროვნებისა, ანუ გონება, ნება და ემოციური სფერო ფუნქციონირებენ დამოუკიდებლად, ერთმანეთთან კავშირის გარეშე. მართლაც, დაუძლეველი იმპულსის არსებობა გულისხმობს, რომ გონება მთლიანად შენახულია (ამ მხრივ პირი ჯანმრთელია), მას შეგნებული აქვს თავის ქცევის მართლწინააღმდეგობა, მაგრამ მისი ემოციური და ნებაყოფლობითი სფეროები დაზიანებულია, ან ჩვენს შემთხვევაში, როცა მოზარდებზე ვსაუბრობთ, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია. პირი სწორედ ამიტომ უნდა განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, ან არც კი მიეცეს პასუხისმგებლობაში, რადგან მას არ შეუძლია თავის კონტროლი, თავისი იმპულსის დაძლევა. ფ.ხარტუნგი წერდა: „ისმება კითხვა, რატომ ჩადიან ზოგიერთები ძარცვას, მკვლელობას?". ამას მოსდევს პასუხი: იმიტომ, რომ ისინი იმყოფებიან დაუძლეველი იმპულსის ზეგავლენის ქვეშ. კითხვა: „საიდან ვიცით, რომ ისინი დაუძლეველი იმპულსის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებიან?"

აქ თვით ფ.ხარტუნგიც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პირი, რომელიც დაუძლეველი იმპულსის ზემოქმედების ქვეშ იმყოფება, უდანაშაულოა, მაგრამ აქ მან დასვა კითხვა, თუ საიდან უნდა გავიგოთ, ეს პირები დაუძლეველი იმპულსის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან თუ დასაძლევის; კითხვა დამაფიქრებელია, რადგან მართლაც ძნელია იმის დადგენა, რა წარმოადგენს პიროვნებისათვის დასაძლევ თუ დაუძლეველ იმპულსს. იმპულსს სიტყვა „დაუძლეველი" მაშინ მიეწერება, როდესაც პირს სწორედ ხასიათის თუ ნებისყოფის სისუსტე ახასიათებს. ამის გამო, ერთი შეხედვით შეიძლება ითქვას, რომ არ შეიძლება პირის პასუხისგებაში მიცემა იმის გამო, რომ მას სუსტი ხასიათი და ნებისყოფა აქვს (ხომ არ შეიძლება პირს დაავალო, გინდა თუ არა ძლიერი ნებისყოფის პატრონი იყავიო). არასრულწლოვანთა შემთხვევაში აშკარაა, რომ 14 წლის ასაკში მათი ნებისყოფა, ემოციური მდგომარეობა ჩამოყალიბებული არ არის. ასევე აშკარაა, ჩემის აზრით, ის, რომ ნებისყოფა, ძლიერი ხასიათი, დადებითი ფიქსირებული განწყობა ადამიანს მხოლოდ დროთა განმავლობაში შეიძლება ჩამოუყალიბდეს და რომ ამ პროცესს ვერანაირი სოციალური გარემო ვერ დააჩქარებს.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ 14 წლის ასაკში მოზარდის ფსიქიკაში დაუძლეველი იმპულსის მოქმედების გამო პასუხისმგებლობის დაწესება ამ ასაკიდან მიუღებელია, ვინაიდან:

ა) ამ ასაკში მოზარდისთვის ლიბერალიზაციის, დამოუკიდებლობის, პრესტიჟულობის, პოპულარობისა და თვითრეალიზაციის მოთხოვნილებები მთავარია, რომელთა დაკმაყოფილება დღევანდელ უმძიმეს სოციალურ-ეკონომიკურ, მორალურ, ზნეობრივ პირობებში შესაძლებელია უმთავრესად ეზოს და ქუჩაში ასოციალური ქცევებით - ქურდობით, ძარცვით, ყაჩაღობით, „ქურდული" ცხოვრების სტილით და ა.შ.

დღევანდელ პირობებში მოზარდებს განსაკუთრებით უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ სწავლისადმი (განათლების არაპრესტიჟულობისა და ქურდული ქცევების გაბატონების გამო) და საერთოდ, მაწანწალა ბავშვთა რიცხვმა 6000-ს გადაჭარბა და მოზარდთა უმრავლესობა ეძებს და პოულობს ისეთ წრეს, რომელშიც საშუალება ექნება ამ მოთხოვნილებების რეალიზაციისა. ეს ვითარება დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიური პირობა გახლავთ,

ბ) ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკად 14 წლის განსაზღვრით მოზარდთა საკმაო რაოდენობას ვიმეტებთ ციხეებსა და კოლონიებში მოსახვედრად, სადაც სასჯელის მიზნებიდან (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშნულის აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია) ძირითადად გამოიყენება სამართლიანობის აღდგენის ანუ დასჯითი ფუნქცია. ეს მაშინ, როცა მის ადგილს უნდა იკავებდეს ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების დახვწილი ფორმები, რომლებიც დაფუძნებული იქნება მოზარდის ღრმა ფსიქოლოგიურ ანალიზზე, ადაპტაციის პირობების შექმნაზე და მიზნად ისახავდეს დამნაშავის ფსიქოლოგიის კორექციას. დღეს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოზარდის აღზრდის, ფსიქოლოგიური კორექციების, გამოსწორების, პედაგოგიური ზემოქმედების, შრომითი აღზრდის და ადაპტაციის პირობების შექმნა შეუძლებელია და ამ ფონზე დასჯითი მეთოდების გამოყენების საპასუხოდ მათში გამოწვეული პროტესტი იწვევს ჩამოუყალიბებელი პიროვნების დეგრადაციას, ხელს უწყობს მის ქურდულ ტიპად ჩამოყალიბებას.

გ) მძიმე სოციალურ-ეკონომიური, მორალურ-სულიერი მდგომარეობის დროს დაუძლეველი იმპულსის მოქმედების პირობებში 14 წლის ასაკის ათასობით მოზარდის დამნაშავედ ცნობა უახლეს მომავალში გამოიწვევს მომავალი თაობის ფსიქიკურ დამახინჯებებს, პიროვნების დეგრადაციას და საზოგადოებაში მძიმე კრიმინალური ფონის შექმნას.

ამდენად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის განსაზღვრა 14 წლით გამოიწვევს არა საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგებას, არამედ დამნაშავეობის ზრდას, მოზარდი თაობის კრიმინალიზაციასა და ქვეყნისათვის დიდი სირთულეების შექმნას.

14 წლის ასაკის ათასობით მოზარდის დამნაშავედ ცნობა უახლოეს მომავალში გამოიწვევს მომავალი თაობის ფსიქიკურ დამახინჯებებს, პიროვნების დეგრადაციას და საზოგადოებაში მძიმე კრიმინალური ფონის შექმნას

საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდამჭერი მიტინგი პოლიციამ სასტიკად დაარბია

დღევანდელი რეალობის პირისპირ მდგომ ჩვენს საზოგადოებას შეიძლება უცნაურადაც მოეჩვენოს, მაგრამ სამართლებრივ ცივილიზებულ სამყაროში, ხელისუფლებისა და სამართალდამცავთა ერთ-ერთ უმთავრეს მოვალეობას წარმოადგენს საზოგადოების წევრის - მოქალაქის პირადი უსაფრთხოების, მისი ღირსებებისა და უფლებების დაცვა. ასეთი პრინციპია მიღებული სამართლებრივი ქვეყნის ცხოვრების წესში. კანონით ჩვენთანაც ასეა, მაგრამ რეალობა აბსოლიტურად სხვაგვარია, კერძოდ, მოქალაქე თავად ხელისუფლებისაგან არის დაუცველი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღევანდელი ხელისუფლება სისხლითა და ძალადობის გზით არის მოსული, გასაკვირი არაფერია.

ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა აშკარად წარმოაჩინა უკვე ყოველგვარ ზღვარს გადასული ე.წ. ხელისუფლების

თვითნებობა, რასაც ზოგიერთი ადამიანის სიცოცხლეც შეეწირა.

ყველაზე არსებითი დემოკრატიულ ღირებულებებში ადამიანის თავისუფალი ნების გამოხატვა, მისი ღირსებებისა და უფლებების დაცვა, ჩვენში არსებული ვითარება კი ამ მხრივ ყოველგვარ საზღვრებს სცილდება.

როგორც „ქუჯის“ ფურცლებიდან ვიტყობინებოდით, 26 მაისს, საქართველოს პრეზიდენტად ზვიად გამსახურდიას არჩევის დღეს, რესპუბლიკის მოედანზე, დავით აღმაშენებლის ძეგლთან გაიმართებოდა მიმდინარე პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებული საერთო სახალხო შეკრება. მიუხედავად უამრავი წინააღმდეგობისა, რაც, ერთი მხრივ, პრემიერ-მინისტრის ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას წინააღმდეგ მოწყობილ ავტოავარიაში გამოიხატა (მხედველობაში გვაქვს 24 მაისს 14 საათზე ცენტრალური ავტომაგისტრალის გვირაბში განხორციელებული ტერაქტი), მიტინგი შედგა, მაგრამ „ომონმა“ ჩვეული ოპერატიულობა გამოიჩინა. „თემური და მისი რაზმი“ მობილიზებული ნიღბებითია და „დუბინკეებით“ შეიარაღებული ელოდა „საკბილოს“.

ჯერ კიდევ მიტინგის დაწყებამდე რესპუბლიკის მოედანზე თავი მოიყარა ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსულმა კანონიერი ხელისუფლების უამრავმა მომხრემ, რათა გვერდში დასდგომოდნენ დევნილ ხელისუფლებას. დანიშნული დროისათვის გამოჩნდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები და პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება მრგვალი მაგიდის სპიკერი, პრემიერ-მინისტრი მანანა არჩვაძე-გამსახურდია ათასამდე თანმხლებთან ერთად. საგულისხმოა, რომ ისინი თავიდანვე იქნენ ალუამემორტყმული პოლიციის კორდონით.

დაიწყო მიტინგი. გაისმა დე-ფაქტო ხელისუფლების მხილება, რამაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ძალზე გააღიზიანა შევარდნაძის პოლიცია, რომელიც დილიდანვე ემზადებოდა მორიგი „გმირობის“ გამოსაჩენად.

მდგომარეობა იძაბებოდა, როგორც სიტუაციას ეტყობოდა, მიტინგი მშვიდობიან ვითარებაში არ ჩაივლიდა.

პოლიციის მიერ გაკეთებული კორდონი მომიტინგეთა ერთ ნაწილს საშუალებას არ აძლევდა შეერთებოდა დანარჩენთ, მაგრამ მათ მაინც მოახერხეს გაერღვიათ ალყა და მისულიყვნენ თანამოაზრეებთან.

პოლიციელებმა მომიტინგეთა შევიწროება დაიწყეს, რაც, როგორც წესი, დარბევას მოასწავებდა. ხალხი ცდილობდა როგორმე უკუეგდო გამხეცებულთა ძალადობა, მაგრამ საქმეში მოქალაქეთა ფორმაში გადაცმული ომონი, ასევე უშიშროების სპეცჯგუფი ჩაერია და ნამდვილი საშინელება დატრიალდა: მთელი სისასტიკით სცემდნენ კანონიერი ხელისუფლების მომხრეებს, არად დაგიდევდნენ ხანში შესულსა თუ ახალგაზრდას, არომევდნენ მათ ხატებს, ჯვრებს და ეროვნულ დროშებს, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია. მომიტინგენი, თავის მხრივ, ცდილობდნენ თავი დაეცვათ.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 25 მაისს სახალხო დამცველმა ნანა დეიდარიანმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც მშვიდობიანი მიტინგი არ დაირბეოდა, თუმცა დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან ამგვარი ქმედება არც არის გასაკვირი.

სისხლიანი დარბევის შედეგად 170 ადამიანი სხვადასხვა სახის ღია ჭრილობით მოთავსებულ იქნა საავადმყოფოებში. ყოველივე ეს დაფიქსირდა უცხოელი და ქართველი ჟურნალისტების მიერ. 16 კაცი აიყვანეს პატიმრობაში, რომელთაც, ჩვეულებისამებრ, კარგადაც „გაუმასპინძლდნენ“. ზოგიერთი მათგანი ნაცემ-ნაგვემი მხოლოდ ღამით გამოუშვეს.

აღმაშფოთებელია ის ფაქტიც, რომ საინფორმაციო საშუალებები ტყუიან და ცალმხრივად აშუქებენ ამ მოვლენებს, რაც შეცდომაში შეყავთ მოსახლეობა. დღევანდელი მასმედიის ნაწილს თუ დავუჯერებთ, მომიტინგეები თავად დაერივნენ უიარაღო „ომონელებს“ და ჯვრებითა და დროშებით განდევნეს დე-ფაქტო ხელისუფლების „გულმხურვალე“ დამცველები.

ქვეყანაში ნამდვილ დამნაშავეთა პარპაში არ იზღუდება, ხოლო ხატების და ჯვრების შეურაცხყოფა და მშვიდობიან მომიტინგეთა არაადამიანური დარბევა ნებადართულია? - კითხულობენ მომიტინგენი.

ასე, რომ ფართომასშტაბიანი „ჯვაროსნული ლაშქრობა“ კანონიერი ხელისუფლების მომხრეების წინააღმდეგ ახალ ფაზაში შედის.

ლელა ხაჭაპურიძე

ინფორმაცია კოლხური კოშკიდან

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება
ფაქტობრივი ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ

1991-92-93 წლებში რუსეთის სამხედრო ძალების - ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებისა და სპეცსამსახურების, შავი ზღვის სამხედრო ფლოტის, როსტოვის სპეცსამსახურების, ძერჟინსკის სახელობის დივიზიის, ავღანეთში ნაბრძოლ 345-ე სადესანტო პოლკის, სომხეთიდან, ყარაბაღიდან და ბალტიის ქვეყნებიდან შემოყვანილი ჯარების მიერ ორგზის იქნა დამხობილი საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლება და განხორციელდა სუვერენული საქართველოს ოკუპაცია (გაზეთი „სობესედნიკი“, № 5, 1994 წელი; გაზეთი „იზვესტია“, 2000 წლის 27 ოქტომბერი).

1991-92 წლების დეკემბერ-იანვარსა და 1993 წლის ნოემბერში სამხედრო-სახელმწიფო კრიმინალური გადატრიალებით დაიწყო საქართველოს ტრაგედია, საქართველოს სახელმწიფოებრივი რღვევა, დემოკრატიისა და თავისუფლების მონაპოვარის ნგრევა. ე.წ. სამხედრო საბჭოსა და რუსეთის სამხედრო ძალების მიერ განიდევნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობა, გაუქმდა ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები (პრეფექტურები და საკრებულოები).

1992 წლის 24 ივნისის დაგომისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებისა და საერთაშორისო სამართლის უგულვებელყოფით რუსეთის ჯარებს, ე.წ. სამშვიდობო ძალების სტატუსით, საშუალება მიეცათ მოეხდინათ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის (სამაჩაბლოს) ოკუპაცია. რუსეთის სამხედრო ძალებმა შევარდნაძის ხუნტის დახმარებით 1992 წლის 3 სექტემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოახდინეს გაგრის, ლესელიძის, განთიადის ოკუპაცია და ქართული ეროვნების მოქალაქეების გენოციდი.

საქართველოში დისლოცირებული რუსეთის საოკუპაციო ძალების ბაზებიდან ბომბავდნენ სოხუმს, გულრიფშს, ოჩამჩირეს, გალს და აწარმოებდნენ ეთნიკურ წმენდას.

1993 წლის 27 ივლისის სოჭის ხელშეკრულებას მოჰყვა ქართული მხარის განიარაღება, რის შედეგად რუსეთის სამხედრო ძალებმა მოახდინეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპაცია. ისევე, როგორც სამაჩაბლოში, აფხაზეთშიც რუსი დამპყრობლები ე.წ. სამშვიდობო ძალების როლი მოგვევლინენ და მათ საკონტროლო ზონებად გალის, ზუგდიდისა და წალენჯიხის რეგიონები გამოაცხადეს.

1994 წლის 4 აპრილის მოსკოვის სამმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს უკანონო ხელისუფლებამ ცნო აფხაზეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

2001 წლის დასაწყისში რუსეთმა ცალმხრივად, ე.წ. გამარტივებული საგიზო ანუ უვიზო რეჟიმის შემოღებით, მოახდინა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის (სამაჩაბლოს) ფაქტობრივი ანექსია.

ადგილობრივი კრიმინალებისა და რუსეთის სამხედრო ძალების მიერ განხორციელებული 1991-92-93 წლების სამხედრო-სახელმწიფო გადატრიალება, 1992 წლის 24 ივნისის დაგომისის გარიგება, 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთის კონფლიქტის პროვოცირება, 1993 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის, 1993 წლის 27 ივლისის სოჭის, 1994 წლის 4 აპრილის მოსკოვის ხელშეკრულებები, 1994 წელს საქართველოს რესპუბლიკის დსთ-ში გაწევრიანება, 1991 წლის 15 სექტემბრის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით რუსეთის სამხედრო ძალებისათვის მინიჭებული საოკუპაციო სტატუსის მოხსნა და მათი სამხედრო ბაზების 25 წლით საქართველოს ტერიტორიაზე დაკანონება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შეუსაბამობა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასთან წარმოადგენს 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის (90,08%) მიერ გამოხატული ნების უგულვებელყოფას, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის იგნორირებას, საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების დარღვევას.

საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება რუსეთის იმპერიულ ძალებთან ერთად ამზადებს მორიგ პროვოკაციას ახმეტის რაიონში (პანკისის ხეობაში). ხუნტის უშიშროების, შინაგან საქმეთა ორგანოების, ადგილობრივი და ჩეჩენი კრიმინალების გამოყენებით შეიქმნა კიდევ ერთი კონფლიქტური კერა საქართველოს ტერიტორიაზე, რის შედეგადაც მოსახლეობისაგან იცლება ახმეტის რაიონის შემდეგი სოფლები: ყვარელწყალი, ხალაწანი, ქორეთი, დუმასტური. კრემლს რუსეთის ჯარების გამოყენებით, ქართველებსა და ჩეჩნებს შორის შუღლის ჩამოგდებით, შევარდნაძის უშუალო დახმარებით მიზნად აქვს დასახული მოახდინოს კონფლიქტის პროვოცირება, რის შედეგად მოსალოდნელია საქართველოს უძველესი კუთხის ოკუპაცია და საქართველოს იურისდიქციიდან მისი გამოსვლა, როგორც ეს განხორციელდა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში (სამაჩაბლოში). რუსეთის საოკუპაციო ძალები შევარდნაძის უკანონო რეჟიმთან ერთად ასეთივე დაძაბულ სიტუაციებს ქმნის საქართველოს რესპუბლიკის სამხრეთ რეგიონებში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ქ.გროზნოში, 1992 წლის 13 მარტს მიიღო დადგენილება:„... ყველა აქტი, რომელიც მიღებულია საქართველოს არაკანონიერი ხელისუფლების მიერ, მათ შორის პარლამენტის არჩევნების დანიშვნის აქტი, გამოცხადდეს იურიდიული ძალის არმქონედ“. აღნიშნულის შესახებ ეცნობა საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურებს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს.

2001 წლის 24 თებერვალს ქ.თბილისში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ბათილად ცნო 1992 წლის 24 ივნისის დაგომისის ხელშეკრულება და ანტიკონსტიტუციურ აქტად გამოაცხადა საქართველოს ტერიტორიაზე ე.წ. სამშვიდობო მისიით რუსეთის საოკუპაციო ძალების განლაგება.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის სამშობლოში დაბრუნებული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაციასთან დაკავშირებით 2001 წლის 5 მაისს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ „...საქართველოს რესპუბლიკის უკანონო ხელისუფლების უშიშროების მაღალჩინოსნებმა ა.იოსელიანმა (2001 წლის 8 აპრილი, ტელეკომპანია „რუსთავი - 2“) და ი. გიორგაძემ (რუსეთის ტელეკომპანია „ტვც“, 2001 წლის 15 აპრილი) აღიარეს, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაციაში შევარდნაძის დავალებით მონაწილეობდნენ რუსეთის სპეცსამსახურები და უშიშროების ადგილობრივი ძალები“...

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, ქ.გროზნოს 1992 წლის 13 მარტის, ქ.თბილისის 2001 წლის 24 თებერვლისა და 5 მაისის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიების, საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების, გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ნორმების გათვალისწინებით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. ეროვნული გმირის - საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გარემოებანი განხილულ იქნეს საერთაშორისო სამართლის ორგანოების მიერ და დამნაშავენი კანონის შესაბამისად დაისაჯონ;

2. საქართველოს უკანონო ხელისუფლების მიერ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის (სამაჩაბლოს) რუსეთისათვის გადაცემა კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც სამშობლოს ღალატი;

3. რუსეთის საოკუპაციო ძალების დანაშაულებრივი ქმედება ქ.თბილისში, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ე.წ. სამხრეთ ოსეთში (სამაჩაბლოში) და მთლიანად საქართველოში შეფასდეს, როგორც სამხედრო აგრესია, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხელყოფა;

4. ახმეტის რაიონში (პანკისის ხეობა) მოსალოდნელი კონფლიქტის შედეგებზე მთელი პასუხისმგებლობა დაეკისროს რუსეთის ხელისუფლებასა და შევარდნაძის უკანონო რეჟიმს;

5. საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ უცხო ქვეყნის-რუსეთის საოკუპაციო ძალების გამოყენება საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების უხეში დარღვევა;

6. რუსეთის ხელისუფლებისა და შევარდნაძის ხუნტის დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ ეცნობოს საზღვარგარეთის სახელმწიფოების მთავრობებს, საერთაშორისო სამართლის ორგანიზაციებს, გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოსა და ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებს.

საქართველოს რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
დავით გოგაძე
თბილისი, 2001 წლის 19 მაისი

ინტერვიუ პოლიტიკურ ოპონენტთან

(დასაწყისი წინა ნომრებში)

- თქვენ თქვენი გეცადათ.

- რა უნდა მეცადა? საერთოდ არ მიყვარს იმ საქმეზე ხელის მოკიდება, იმაზე საუბარი, რაც წინასწარ ჩასაფუშადაა განწირული. ეს იქნებოდა იაფფასიანი თვითრეკლამა. იმ პარლამენტში იმ პარტიების წარმომადგენლები ისხდნენ, რომელთა ორი მესამედი ავტომატებით დარბოდნენ რუსთაველზე. სხვათაშორის, იმ პარლამენტის დეპუტატები გახლდნენ ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლებიც. ისე რომ, საკითხი შეფასების შესახებ მათ უნდა დაეყენებინათ. და საერთოდ, მაშინ ავტომატების ისეთი ტრიალი იყო ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის, რომ არავითარი შეფასებების დრო არ იყო. სამაგიეროდ, 1995 წლიდან მოყოლებული, როცა ისევ პარლამენტში ვიყავი, მაგრამ კომისიას აღარ ვხელმძღვანელობდი, როცა მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა, ქვეყანა დაწყნარდა, ჩემი, როგორც დეპუტატისა და ჩვენი პარტიის განცხადებები მიმართული იყო იქით, რომ სათანადო შეფასება მისცემოდა გადატრიალებას. და ეს დღემდე გრძელდება.

ჩვენი კომენტარი: *ცნობილია და ზემოთ ვთქვით კიდეც, რომ რუსთაველ კბილებამდე შეიარაღებული ამბოხებულებისგან დაწყებულ ომში პრეზიდენტის მომხრეები, ასე ვთქვათ, შიშველი ხელებით ჩაებნენ.რაც შეეხება უკანონო პარლამენტში ბატონ ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლთა ყოფნას, ვიტყვით, რომ ისინი ერისგან და პრეზიდენტისგან დიდი ხნის განდგომილები, პუტჩისტებთან დიდი ხნის შეკრულები გახლდნენ. სხვანაირად, მათ არავინ მიართმევდა "დეპუტატების" მანდატებს. თავისთავად ცხადია, ისინი არავითარ შემთხვევაში არ იგყოლნენ თუნდაც მცირეოდენ სიმართლეს, არ ამხელდნენ საკუთარ თავს და რომელი შეფასების მიცემაზეა ლაპარაკი. მაშინაც და ღღესაც ყველას გაჩუმება ურჩევნია. მაგრამ, ღუმილი ყოველთვის როდი ფასობს ოქროდ..*

- ნუ გვიწყენთ ბატონო შალვა - ისე გამოდის, მაშინდელი თქვენი კომისია უძალო და არაფრის შემძლე ყოფილა.

- ჩვენი კომისია პოლიტიკური ორგანო არ იყო, იგი საკანონმდებლო ორგანო გახლდათ.

- მაგრამ, განცხადებების გაკეთების უფლება ხომ გქონდათ?

- უფლებები კი გვქონდა, მაგრამ თუ ისინი არ განხორციელდებოდნენ და კონკრეტული შედეგები არ მოჰყვებოდა, მარგო ლაპარაკი არაფერს არ მოიგანდა.

- ახლა ბატონ ზვიად გასახურდიას შესახებ გვინდა გკითხოთ. როგორც ვიცით, დევნილობაში მყოფ საქართველოს პრეზიდენტზე ორჯერ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სამშობლოს ღალატის ბრალდებით. თქვენმა კომისიამ ამასაც ღუმილით აუარა გვერდი.

- ვინც ეს საქმეები აღძრა, ვინც მათ იძიებდა და სანქცია გასცა დაპატიმრებაზე, ისინი და მაშინდელი ზოგიერთი თავგადაკლული "ზვიადისტი" დღეს მხარდამხარ სხედან პარლამენტში, ერთ გუნდში არიან. ეს ჩემი კომპეტენცია არ იყო არც კომისიის დებულებით და არც დეპუტატობის უფლებამოსილებით. მე უფლება მქონდა სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკულ პროცესუალურ საქმიანობაში ჩავრეულიყავი, საკანონმდებლო უფლება კი არა.

- რაკიდა ასეა, გამოდის, იგივეს იტყვით პრეზიდენტის მკვლელობაზეც. ამაზეც ხომ თქვენმა კომისიამ არაფერი გააკეთა. მაშინაც სიჩუმე არჩიეთ.

- პარლამენტში ამის თაობაზე იყო გამოსვლები, რომ უნდა გამოძიებულიყო საქმე და რომ მომხდარი არ გავდა თვითმკვლელობას.

- თქვენ გამოსულხართ?

- არა, მე არ გამოსულვარ. ამ საქმეებში არ ჩავრეულვარ. იცით, რას გეტყვით, მე არც შევარდნაძისტი ვარ და არც ზვიადისტი, და საერთოდ ვთვლი, რომ ამ ორი პიროვნების ბრძოლამ საქართველო დღუპა. რა თქმა უნდა, ამაში დიდი წილი უძევს სისხლისღვრაზე წასულ შევარდნაძეს. მაგრამ, ისტორია მაინც ასე შეაფასებს მათს ბრძოლას, რომ დიდი ეროვნული მოღვაწის – პირველი პრეზიდენტისა და დიდი საერთაშორისო მოღვაწის – რომელიც საერთოდ არ გამოდგა ასეთი, - დაპირისპირება საქართველოსთვის საბედისწერო გამოდგა. ამან კი ერი გახლიჩა.

- მაგრამ, ეს ყველაფერი ხომ პუტჩისტებისგან წამოვიდა?

- რა თქმა უნდა, მაგრამ ამას ისტორიისათვის აქვს მნიშვნელობა.

- ბატონო შალვა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ იმაში, რომ მართალი მემატიანეებისაგან სხვა ყველაფერთან ერთად ამ საკითხსაც ზედმიწევნით ზუსტი და სამართლიანი შეფასება უკვე მიეცა. და რაც მთავარია, ყველაზე სამართლიანი მემატიანე კი თავად ხალხია.

შალვა ნათელაშვილი:

ხალხი ჩამოშორებულია თავისი ქვეყნის მართვას. ისინი საკუთარ ბედს თავად ველარ წყვეტენ... ამ ხელისუფლებამ ყველაფერი წაგვართვა სამხედრო გადატრიალებითა და არჩევნების გაყალბების დაკანონებით

- ღმერთმა ქნას. მეც ეგა მსურს.

ჩვენი კომენტარი: *რადგან მაშინდელი ე.წ. "ზვიადისტები" უკანონოთა გუნდის წევრები არიან და მათთან ერთად ერთ შავ საქმეს ემსახურებიან, თავისთავად ცხადია, ისინი მაშინვე არა ყოფილან ბატონ ზვიადის თანამოაზრე-თანამოსაქმეები. პრეზიდენტის მკვლელობასთან დაკავშირებით კი მიგვაჩნია, რომ იურიდიული კომისიის თავმჯდომარეს აუცილებლად უნდა გაეკეთებინა სათანადო განცხადება. სხვა თუ არაფერი, უსათუოდ უნდა მოეხადა წმინდა მამულიშვილური ვალი.*

- კიდევ ერთი შეკითხვა თქვენი კომისიის თავმჯდომარეობასთან მიმართებაში. 1992-1997 წლებში საქართველოში მოქმედებდნენ სამხედრო-საველე სასამართლოები...

- რომლებიც მე გავაუქმე კანონით სამხედრო სასამართლოების შესახებ, რის შედეგადაც შეწყდა არაკანონიერი გზებით ხალხის დახვრეტა. აღარ მახსოვს, მგონი ეს 1993 თუ 1994 წელს გავაკეთეთ. ჩვენ ხელთა გვაქვს 1997 წლის 14-20 თებერვლის გაზეთი "7 დღე", რომელშიც წერია: "სამხედრო სასამართლოები უნდა მოქმედებდნენ საომარ და საგანგებო ვითარებაში. მშვიდობიანობის პერიოდში სამხედრო სასამართლოების მოქმედება დაუშვებელია", - განმარტავს საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე თ.შარმანაშვილი. ფაქტობრივი ხელისუფლების კონსტიტუციის 83-ე მუხლიც ამას გვაუწყებს: "სამხედრო სასამართლოების შემოღება შეიძლება საომარ პირობებში". ამავე გაზეთში წერია შემდეგი: "1993 წლის თებერვალში სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებით ჩამოყალიბდა თბილისის რეგიონალური სამხედრო სასამართლო. ღღესათვის საქართველოში მოქმედებს თბილისის, თელავის, გორის, ახალციხის, ქუთაისის, ფოთისა და ბათუმის რეგიონალური სამხედრო სასამართლოები".

- ბატონო შალვა, თქვენს კომისიას 1993 წელს კი გაუუქმებია დასახელებული სასამართლოები, მაგრამ შევარდნაძეს იგი არაფრად ჩაუგდია და როგორც დასახელებული გაზეთი გვაუწყებს, იმავე წელს ისევ გამოუცია ბრძანება მათი ჩამოყალიბების თაობაზე. ეს კი სულაც არ არის გასაკვირი, რადგან დიქტატორულ რეჟიმს ადამიანთა დასჯის გარეშე არსებობა ვერ წარმოუდგენია. არადა, თელავსა და ბათუმში რაღად უნდოდათ ასეთი სასამართლოები?

- ეს შევარდნაძეს უნდა ჰკითხო. მე თუ მკითხავთ, განგიმარტავთ: სამხედრო-საველე სასამართლოები არ უნდა შედიოდნენ საკანონმდებლო ჩარჩოებში. ისინი ცალკე იყო შექმნილი, ყოველგვარი კანონის გარეშე.

- ვინ შექმნა?

- სამხედრო საბჭომ, მთავარსარდლის ბრძანებით.

- ამ სასამართლოების არსებობა, თუ არა ვცდებით, სამი თვით უნდა განისაზღვრებოდეს არა?

- ზუსტად ვერ გეტყვით, რადგან სხვადასხვა ქვეყანაში ისინი სხვადასხვა ვადისანი არიან. მაგალითად, ამერიკაში ასეთი სასამართლოები ღღესაც არსებობენ და კანონით არიან შექმნილები. აქ კი უკანონოდ იქმნებოდნენ.

- ბატონო შალვა, ეს ის "სასარჩევნო კანონი" "პარლამენტს" წარუდგენეს დასამტკიცებლად?

- დიახ. ყველაფერი ეგრე წარიმართა. ვიტყვი, რომ ის კანონი იდეალური არ იყო, მაგრამ მიღება შეიძლებოდა. მასში ჩადებული იყო თანასწორუფლებიანობა, პარტიების თანასწორი წარმომადგენლობა და სხვ.

- თქვენ ხმა თუ მიეცით იმ "კანონს"?

- მაშინ მივეცი ხმა და მომდევნო არჩევნებში უკვე ჩემი პარტიიდან გავიმარჯვე, როგორც მაჟორიტარმა დეპუტატმა. მერე, 1999 წლის ივნისში, მოახდინეს იმ კანონის მთელი რიგი ცვლილებები, რომლის მიხედვითაც საარჩევნო კომისიის ყველა დონეზე "მოქალაქეთა კავშირი" გაბაგონდა, ანუ ამ კავშირის ხუთ წევრზე ოპოზიციის ერთი წარმომადგენელი მოდიოდა. ამით ყველაფერს წერგილი დასვამ, როგორი არჩევნებიც არ უნდა მოგვეგო, ისეთ ოქმს გააფორმებდნენ, როგორიც ჩვენ შეგვიდგინეს.

- ბატონო შალვა, ახლა "სახალხო დამცველზეც" გვითხარით.

- სახალხო დამცველი კონსტიტუციაში "რესპუბლიკელების" მოთხოვნით შემოიტანეს. მე წინააღმდეგი ვიყავი, რადგანაც მიმაჩნია, რომ თუკი ქვეყანაში სასამართლოა, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვაზე უნდა მუშაობდეს, მაშინ სახალხო დამცველი სრულიად ზედმეტი რგოლია, ანუ დეკორაციაა. მაგრამ, ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ თუ მის შემოღებას მხარს არ დავუჭერდი, მაშინ ხმას არ მისცემდნენ კონსტიტუციას და ცხადია, მას ველარ მივიღებდით. აი, ასეთი ვაჭრობა გაიმართა პოლიტიკურ ძალებს შორის.

- და თქვენი ხმაც მათსას შეუერთეთ არა?

- ასე გამოვიდა. თუმცა, ამით არაფერი არ იცვლებოდა...

- ორი მოწვევის "პარლამენტში" თქვენს საქმიანობაზე აღარაფერს შეგეკითხებით. ამჯერად, სისხლიანი გადატრიალების შემდგომ პერიოდში თქვენი მეუღლის საქმიანობაზე გვსურს გკითხოთ. გადმოცემით, მაშინ იგი მოსკოვში, იმდროინდელი ე.წ. ელჩის ვ.ადვაძის თანაშემწედ მუშაობდა.

- არა, თქვენ მცდარი ინფორმაცია გაქვთ. ჩემი მეუღლე მაშინ მუშაობდა საქართველოს წარმომადგენლობის უფროსთან, ბატონი ზვიადის მიერ დანიშნულ კახა ლომაიასთან, წამყვან სპეციალისტად ეკონომიკის საკითხებში. ადვაძის ელჩობისას იგი იქ აღარ მუშაობდა.

- ბატონო შალვა, რადგან "პარლამენტში თქვენს საქმიანობაზე საუბარი მოვათავეთ, ახლა ღღევანდელ, წმინდა პარტიულსა და პოლიტიკურ მოღვაწეობაზეც გვაუწყეთ. გაგებული გვაქვს, თქვენი პარტია ფინანსურ გასაჭირში არ უნდა იყოს.

- გულახდილად გეტყვით, ძალზე სერიოზული ფინანსური გასაჭირი გვაღგას. საწევროებითა და შემოწირულობებით ვარსებობთ და ძლივს ვახერხებთ მთავარი ოფისის შენახვას.

- რაიონულ ფილიალებს ოფისები არ გააჩნიათ?

- არა. და თუ სადმე გვაქვს, იგი პარტიის წევრის ბინაა.

- საკვირველია, თუ რატომ არაფრით არ გიმართავენ ხელს თქვენი პარტიის წევრი ბაზრის, ბაზრობის, ბენზინის გასამართი სადგურების მფლობელები. პირდაპირ გაუგებარია მათი ასეთი სიძუნწე.

- არც ერთი მათგანი ჩვენი პარტიის წევრი აღარ არის.

- არც შემოწირულობებს არ გიგზავნიან ყოფილები?

- სამწუხაროდ, არა. აკი გითხარით, ძირითადად საწევროებით ვსულდგუმლობთ. პარტიაში 170 ათასი წევრია და თბილისის მასშტაბით შეძლებისდაგვარად ვახერხებთ საწევროების შეგროვებას...

- მანქანა ხომ გყავთ?

- საკუთარი არა. მანქანა პარტიის კუთვნილებაა. იგი ამას წინათ გაიგაცეს, მოსასმენი აპარატურა დაამონტაჟეს და ისე დაგვიბრუნეს.

ესაუბრა გელა ჯიღაური

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

გაყიდული ომის ტრიუმფატორი

სოხუმიდან საჰაერო ლაინერის სპეცრეისით მობრუნებული ამირსპასალარი სულს იბრუნებს თბილისქალაქს. ღირსეულად გაბიზნესებულ ომობანაში სახელმოხვეჭილ დამარცხებულ რაინდებს პატრონი რკინმედლებითა და ჩინებით აჯილდოვებს. არავინ დასტოვა გულნაკლული, არც მოქმედი გენერალი, არც ეფრეიტორი და ჯარისკაცი, არც ზურგში მყოფი კარის ტრუბადურები და არც მშვიდობის მტრედებად მივლინებული, თეთრზეწარაფარებული მატარებლის მდედრიონი გამორჩენია.

საქეიფო აღლუმიც არ დავიწყნია ტრიუმფატორს იმ დროს, როს საქართველოს სატახტო ქალაქის ქუჩებში დაფოხილი ტანკები და ჯავშნოსნები მიხრიგინებდა კარგად ნასვამ-ნაჭამი მთავრობის ტრიბუნის წინ, ხოლო ჭუბერის გოლგოთაზე ასეულობით ქართველის უკუბოოდ დარჩენილ ცხედრებს უღელტეხილის კალთებზე ეჭრებოდათ სამარე. „ნაომარი რაინდები“ კი შაყად მილასლასებდნენ ჩასუქებული ძიების წინაშე.

ასე განხორციელდა ბარტერული გაცვლის მეთოდი: - სავარძელზე - აფხაზეთი. ეს მსოფლიო ვაჭრობისა და კომერციის პრაქტიკაში უნიკალური მოვლენაა!

რა ხრ ძალუძს ტექნიკურ პროგრესს

მოსკოვური საქმიანი ვიზიტების შემდეგ, მისი აღმატებულების ჩამობრძანებისათვის ტექნიკური მხარეების მოგვარება შეიქმნა აუცილებელი, რომელიც საავიაციო სპეცრეისით დაგვირგვინდა.

რეპატრიაციამდე კი დემოკრატიის მოციქული საიდუმლო სერობებს მართავს მოსკოვსა და ოკეანის გადაღმა თავის პატრონებთან, ღებულობს დირექტივებს, რჩევა-დარიგებებს, თუ როგორ უნდა მოაშთოს „პროვინციული ფაშიზმი“. ცხოველმყოფელი მსოფლიო იდეებით აღჭურვილი უბრუნდება ქვეყანას ნაბოლშევიკარი.

ერთ საღამოს, ჩემდა გასაოცრად, დასავლეთის „სიმართლის მღაღადებლები“ რადიოთი ერთ-ერთი ჭეშმარიტად ღირსეული ქართველი მანდილოსნის საუბარს გადმოსცემდა. ის ჩვენი ქვეყნის უბედობას დასტიროდა, ჩვენს ქვეყანაში დატრიალებულ ორომ-ტრიალს აფრიკის ერთ-ეთრ ქვეყანაში მომხდარს ადარებდა:

აფრიკის ტროპიკების შიშველ-ტიტველ ბინადართ თეთრკანიანმა ძიებმა ურჩიეს: აუცილებელია არჩევნები მოაწყოთ, რათა დემოკრატია შემოვიდეს თქვენშიო (ჩვენსას კი არჩევნებით ვერას გახდნენ და ჩატყაულ-ჩადუბლიონკებულ ელიტას ომობანა ასწავლეს) მათაც დაუჯერეს და გამართეს არჩევნობანა. არჩევნების ჩათავებისას, საღამოსთვის ყველანი მათი მთავარი სოფლის ცენტრში შეიკრიბნენ და დაიწყეს ლოდინი. ამ სოფელში რკინისგზა ახალი დაგებული იყო და მის ბაქანზე პიგმეები შეგროვდნენ. ნახეს რა თეთრკანიანმა ძიებმა მათი თავყრილობა, გაუკვირდათ, არჩევნები ხომ ზარზეიმით ჩაატარეს, ვერ გაეგოთ, რას უცდიდნენ.

-ჩვენ დემოკრატია მოვიწვიეთ, აკი შემოვაო, ხომ გვითხარით, ვუცდით მატარებელს. ვნახოთ როგორია ეს დემოკრატიაო - მიუგეს პიგმეებმა.

ჩვენთან კი დემოკრატია, ამჟამინდელი მოდერნისტული საშუალებით თვითმფრინავით - ჩამოფრინდა. ჩვენმა რჩეულმა ბნელიტამ კი აეროპორტში მოუწყო გულსამაჩქროლებელი შეხვედრა - განაცხადა ქართველმა მეცნიერმა ემიგრანტმა ქალმა.

დემოკრატიამ კი გულწრფელი მადლი უძღვნა „რაინდებს“ ავტომატის ასხმისათვის. ჩვენ ადრეც ვიგემეთ ასეთი ბედნიერება, როცა ჩვენი დემოკრატიის სულიერი წინაპარი, მარქსისტული სოციალ-დემოკრატიის ბოლშევიკური სექტის ერთ-ერთი კრიმინალი თავკაცი, მისი ნახევრად მოსახელე სერგო-გიორგი ჩრდილოეთიდან 1921 წელს ლენინის მიერ საგზურამოწერილი თეთრი ცხენითა და წითელი ჭირით შემოვიდა საქართველოში. რას იზამ, დრონი იცვლებიან. მოვლენები მეორდება, იცვლება გადაადგილების საშუალებანიც, მიზანი უცვლელი რჩება: მაშინ ცხენოსანმა გაგვაბედნიერა“ - ახლა ავიოსანმა, უბედურება კი არა და არ გვშორდება.

ალეკო სანდუხაძე

ჭეშმარიტება ერთია!

საქართველოში გრძელდება ოპოზიციური თამაშები ხალხის თავგზის ასაბნევად, ხოლო მოსყიდული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ფარისევლურად, ყალბი პათოსით, სხვადასხვა კუთხით უტიფრად აშუქებენ საცირკო წარმოდგენებს და კლოუნთა კინკლაობას, ძირითადი არსის - საქართველოს ღალატის მისაჩქმალად.

ცრუ ოპოზიციას არ სურს 1891-92 წლების მოვლენების ობიექტური შეფასება, ძალადობის დაგმობა, ფაქტობრივი ხელისუფლების უკანონობის აღიარება, ხალხის მიერ არჩეული უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრეობის აღდგენა, მის საფუძველზე არჩევნების ჩატარება და ჭეშმარიტი ეროვნული თანხმობა. ისინი, ვისაც ევალებათ, არ მონაწილეობენ კოლხურ კოშკში უზენაესი საბჭოს სესიებსა და მრგვალი მაგიდის მუშაობაში. სამაგიეროდ ფაქტობრივ პარლამენტში და მის გარეთ დემოკრატობანას თამაშით, დემაგოგიით უქმნიან ფონს მოღალატე ხელისუფლებას ეგრეთწოდებული იმიჯის შესანარჩუნებლად. ამავე დროს დააყენეს სიყალბისა და სიცრუის კორიანტელი, რათა ხალხი მიიტყუონ მორიგ უკანონო საარჩევნო აფეორაში და ძალაუფლება გაიხანგრძლივონ. მათ არ სურთ სიმართლისა და ჭეშმარიტების აღიარება, ვინაიდან ფარულად თუ აშკარად მონაწილეობდნენ ჩვენს გაუბედურებაში. ყველა ისინი ალიანსში იმყოფებიან საქართველოს მტრებთან. სამწუხაროდ სხვა დასკვნის გაკეთება მათი ქმედებებიდან გამომდინარე, შეუძლებელია. ასე, რომ კიდევ ერთხელ გამჟღავნდა მათი ჭეშმარიტი სახეები, რაც ღალატზე უარესია და თუ ქართველ ერს გადარჩენა უწერია, ყველას შესაბამისად მოეთხოვება პასუხი შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე.

გიორგი დანელია

ეს ჩემი სამშობლოცაა და მის ბედნიერ მომავალს შევნატრი

კარგად მოგეხსენებათ, რა მდგომარეობაში არიან დღეს, „დემოკრატიის ზეობის დროში პატიოსანი, მშრომელი ადამიანები. გაჭირვებამ ჩემი ოჯახიც აჰყარა მშობლიური წყალტუბოდან და თბილისში „ელიავას ბაზრობაზე“ ამოვყავით თავი. ვცდილობთ, ამგვარად გადავურჩეთ შიმშილით სიკვდილს, რაც მტარვალმა ხელისუფლებამ გაგვიმწესა.

იქ სირიიდან შემოტანილ ცელოფანის პარკებს ვყიდით და ასე ვშოულობთ პურის, შაქრის, ბინის ქირის საფასურს.

თავშესაფრის ძებნაში ხეტიალისას ბედმა მიგვიყვანა სომეხი ეროვნების ქალბატონთან, ვარდო დეიდასთან. ამჟამად, სწორედ მასზე გვინდა გითხრათ ორიოდე სიტყვა მადლიერებითა და პატივისცემით, რადგან დედაშვილურად მიგვიღო და შეგვივრდომა. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი სადარდელიც ბევრი აქვს—საერთო გაჭირვება, თანაც ორი შვილი გამოეცალა ხელიდან, მაინც პოულობს ძალას სხვისი მწუხარების გაზიარებისათვის. ძალზე აწუხებს ქართველი ხალხის თანდათანობით გადაგვარებისა და განადგურების საფრთხე, უკანონო ხელისუფლების მიერ საქართველოს ტერიტორიების გასხვისება, ხშირად მეუბნება: ინდიკოჯან, ამ მთავრობას ჭკუა ხომ არ დაუკარგავს? როგორ ერთი ხელის მოსმით წყვეტენ ყველაფერს. თურქი-მესხების დაბრუნებაზე ლაპარაკობენ, როცა ქვეყანა არ გამთლიანებულა და ლტოლვილები შინ ვერ დაბრუნებულან. ახლა ეს ვალები? ეს ხომ დიდ უბედურებად მოუტრიალდება ჩვენს შთამომავლობას. ნუთუ შევარდნაძემ არ იცის სად წავიდა, რაში დაიხარჯა ამდენი თანხა? საზღვარგარეთის ბანკები ხომ აავსეს ფულით პარლამენტარებმა და ევროპის ქალაქებში „ქოხებსაც“ ყიდულობენ, აქ კი პენსიებიც ვერ დაურიგებიათ, თუ ამასაც პენსია ჰქვია.

- ვარდო დეიდა, როგორ ფიქრობ, საქართველოსთვის ოდესმე გამოიდარებს-მეთქი?

როცა ვკითხავ, მპასუხობს: -გამოიდარებს, ოღონდ ქართველმა ერმა უნდა გაიღვიძოს ძილქუშიდან, ბოიკოტი გამოუცხადოს ყოველივე ანტიეროვნულს, მოითხოვოს კანონიერად არჩეული ხელისუფლების აღდგენა.

საღამოობით, როცა დაქანცულნი ვარდო დეიდასთან მივდივართ, დიდხანს ვსაუბრობთ, ვუსმენთ სხვა ეროვნების ადამიანის მშვენიერ ქართულს, რომელიც საქართველოს მეორე სამშობლოდ მიიჩნევს, გულით და სულით სურს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, კანონიერად არჩეული ხელისუფლების აღდგენა და ამაში ხედავს მთელი კავკასიის გადარჩენას.

ღმერთო, აუხდინე ჩვენს ახლად გაცნობილ ვარდო დეიდას ნატვრა! მოიღე მოწყალება და ჰქმენ ისეთი ჟამი, როცა ჩვენს სამშობლოში ბედნიერად იგრძნობს თავს ყველა პატიოსანი ადამიანი, ქართველიც და არაქართველიც.

ინდიკო ფხაკაძე
წყალტუბო

«ვინც ამ ძმობას წაშლის...»

დღეს თამამად შეიძლება გავიმეოროთ დიდი ილიას სიტყვები: „ახლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა... ვაქკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლით ომის ვაქკაცობაზე...“ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ იარაღით ვებრძოლოთ უკანონო ხელისუფლებას, რომლის მოღალატურმა, ანტიქართულმა პოლიტიკამ ქვეყანას მოწყვიტა აფხაზეთი და სამაჩაბლო, თუმც იმისი კი გვჯერა, რომ დადგება დრო, როცა ამ ქმედებებს, უდანაშაულო ადამიანთა გაწირვას, ათასგვარ უბედურებას სამართლებრივი შეფასება მიეცემა - არ შეიძლება ბოროტებამ დაუსრულებლად იბოგინოს. ადამიანების მყლაპავ საზიზღარ გველეშაპს ბოლოსდაბოლოს ხომ ყოველთვის ამარცხებს მზეჭაბუკი.

აფსუეგმა მძევლად აყვანილ შუქრი მგელაძეს მაჯა გადაუხსნეს და მის სისხლს ჭიქებით სვამდნენ...

თუნდაც აფხაზეთის საკითხი - განა აქ ჩვენი იარაღი ჩვენივე სიმართლე არ არის? არც აფხაზეთის მთავრებს, არც კათალიკოსებს, ან ხუროთმოძღვრებს, ვინც ილორსა და ბედიას აშენებდა, აზრადაც არ მოსვლიათ, რომ საქართველო სხვაა და აფხაზეთი სხვა - ისინი საერთო სამშობლოს აშენებდნენ და იცავდნენ საუკუნეთა განმავლობაში. რატომ წაიშალა არც თუ შორეული ხანის აფხაზი მოღვაწის დიმიტრი გულიას სიტყვები? „ჩვენ ერთი ცის ქვეშ ერთ მიწაზე გვიშენებია ჩვენი კულტურა, ერთად დაგვილოცავს ჩვენი ეროვნული რაობა და მიწა-წყალი. ცოტაა ვთქვათ, რომ მოძმე ერები ვართ, ჩვენ ერთი ფსიქიკის, ერთი ადათის, ერთი წესის, ფსიქოლოგიის ხალხი ვართ. არა მგონია, ქართველებს ჰყავდეთ უფრო ახლობელი ძმა, ვიდრე აფხაზებია. ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა, ვინც ამ ძმობას შლის, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, „იგი თავისა მტერია“.

წყეულმა ბოლშევიკებმა გამოიგონეს აფხაზეთის ავტონომია, ახლა კი „ჩვენს“ დღევანდელ ხელისუფალთა ხელდასხმით, აფხაზეთი ცალკე სახელმწიფოდაც მოგვევლინა. კიდითკიდემდე დათარეშობს აფსუა მეცნიერთა „თეორიები“, „მოსაზრებები“ და „არგუმენტები“, რაც მათს უძველეს სახელმწიფოებრიობას, ეროვნულ თავისთავადობას განადიდებს, ქართველები კი მტარვალებად, სისხლისმსმელებადაა გამოცხადებული. ფაქტები კი რას ღაღადებენ? მხოლოდ ერთს შეგახსენებთ - აფსუებმა მძევლად აყვანილ შუქრი მგელაძეს მაჯა გადაუხსნეს და მის სისხლს ჭიქებით სვამდნენ. თუმც აქვე ვიტყვი, რომ ეს ფაქტი სულაც არ არის გასაკვირი - ეს სისხლის სმა დიდი ხნით ადრე მომზადდა იდეოლოგიურად. ეს ჭიქა ხელში ეჭირა ხრუშჩოვს, სუსლოვს, ბაბურინს, ჟირინოვსკის, ლებედს, ელცინს, სხვებსა და სხვებს...

ეს უპირველესი თემა დღეს ჟამიდან ჟამზე გაიელვებს, თითქოსდა სხვათაშორის, მაშინ, როცა რაღაცისათვის დასჭირდებათ, არა და საქართველოს ეს მშვენიერი და ძირძველი კუთხე თანდთან გვშორდება, წყდება დამაკავშირებელი ძაფები და ვაითუ...

საშველი? ჩვენ ქვეყანას უნდა გამოუჩნდეს ნამდვილი პატრონი, ნამდვილი გულშემატკივარი, სადავეები ხელთ ეროვნულმა მთავრობამ უნდა აიღოს და ყველაფერს ეშველება.

ზურაბ გოგოხია

ჩვენი რწმენა

აბორტის ცოდვის შესახებ

არქიმანდრიტი რაფაელი

მე ვარ ადამიანი, რომელსაც წაართვეს ადამიანის სახელი. მე ვარ ბავშვი, რომელსაც არ ჰყავს მშობლები. ვერ მოვასწარი ამქვეყნად გაჩენა, მე სიკვდილმა დაბადებამდე მომიტაცა, სიბნელიდან ისე გადავინაცვლე წყვდიადში, რომ სინათლეც კი არ მიხილავს. და მაინც, მე შენ მოგმართავ სიტყვით – „დედა", შენ, რომელიც მატარებდი შენს წიაღში მყოფს, ხოლო შემდეგ კი სიკვდილის გაყინულ ხელებზე მიმაგდე, თითქოს მდინარეზე გადასვლისას შუა წყალში მომისროლე.

მე მინდა გითხრა, რომ მიყვარდი ჯერ კიდევ ჩემს დაბადებამდე, რომელიც ჩემთვის სიკვდილად იქცა. იმ წუთს, როცა რკინის კლანჭები მოუახლოვდნენ ჩემს სხეულს, უხმოდ გეძახდი: დედა, მიშველე! ხოლო როცა ისინი ურჩხულის ეშვებით ჩაესვნენ ჩემს სხეულში, მაშინ ავყვირდი: დედიკო, ნუ მომკლავ, დედიკო, შემიბრალე! მაგრამ, ამაოდ, შენი საშო ჩემთვის სასაკლაოდ იქცა.

დედა! რატომ მომკალი, რისთვის წამართვი სიცოცხლე? ალბათ, არ იცი, როგორ მიყვარდი, როცა მე და შენ ჯერ კიდევ ერთი სხეული ვიყავით, როგორ მინდოდა მოგხვეოდი ყელზე, მაგრამ ხელები ჯალათმა მომიკვეთა. მინდოდა მიგკროდი მკერდზე ჩემი გულით, მაგრამ იგი რკინამ განგმირა. როგორ მინდოდა შენი ხელებით გეტარებინე, მაგრამ შენ საუკუნო წყვდიადისთვის გამიმეტე. ჩვილებს აკვანში აწვენენ, ჩემი აკუწული სხეული კი სანაგვეზე მოისროლეს სისხლით გაჟღენთილ დოლბანდებთან და მყრალ ნარჩენებთან ერთად. არავინ ტიროდა ჩემს გვამზე, არავინ ჩაასვენა იგი ციცქნა კუბოში. ჩემი სამარე ვირთხების კბილებში ვპოვე, რომელიც ნაგვის ხროვაზე დაწანწალებენ. დედა ლოცვებს კითხულობს მძინარე შვილის სასთუმალთან, მე კი ვინ მიპოვის აქ და ვინ მომეფერება? მე დედის ხსენებისაც კი მეშინია და ურუანტელი მივლის, როცა ის მარწუხები მაგონდება, რომლებიც ჩემს სხეულს გლეჯდნენ. მაშინ შენი თბილი წიაღი ჩემთვის გველის ცივ სხეულად იქცა.

არსებობს ორი წმიდათაწმიდა სიტყვა – ღმერთი და დედა, უფალმა არ მიმატოვა თავისი მოწყალების გამო, მაგრამ ჩემი თვალები, ნათლისღებით განუბანელნი, ვერ ხედავენ მას. მეორე წმინდა სიტყვა „დედა" კი მე დავკარგე – შენთვის ზედმეტი აღმოჩნდა ჩემი სიყვარული. ბავშვი განსაცდელში დედას მოუხმობს, სანამ დედა ცოცხალია, ადამიანი არ არის ეული, არ არის მარტოდ დაშთენილი, მან იცის ,რომ დედის გული არ შეაქცევს მას ზურგს, თუნდაც მთელი მსოფლიო აღდგეს მის წინააღდეგ იცის, რომ დედა ყოველთვის გაათბობს მას თავისი სიყვარულით.

მე კი ობოლი ვარ ცოცხალი დედის მყოლი. მან საუკუნო ბნელეთისათვის ისე გამიმეტა, რომ ერთხელაც არ ჩაუხედავს ჩემთვის სახეში. შენ კი იმიტომ გამყიდე, რომ თავისუფლად ყოფნის უფლება მოგეპოვებინა, საფასურიც თვითონვე გადაუხადე ჩემს ჯალათებს – შენ იუდასავით მოიქეცი. კაიაფამ განსაჯა უდანაშაულო და თქვა, რომ უმჯობესია, ერთი კაცი მოკვდეს, ვიდრე მთელი ერი. შენ კი განსაჯე, რომ ოჯახის საკეთილდღეოდ უმჯობესია, მოკვდეს უდანაშაულო ბავშვი – თითქოს მე შენი შვილი არ ვყოფილიყავი. ქრისტე ჯვარს აცვეს, და შენც მომისაჯე მე ჯვარცმა.

თუმცა ვერ ვხედავ პირსა ღვთისასა, მაგრამ ვიცი, რომ მას ყველას გადარჩენა სურს. შენ არ ისმინე მაშინ ჩემი სიტყვები, როცა შეძრწუნებული გევედრებოდი შენს საშოში: „დედა, შემიბრალე", ახლა მაინც ისმინე ჩემი. დედა შეიბრალე თავი შენი, შეიწყალე შენი სული, განბანე იგი სინანულის ცრემლებით, ხოლო თუ გეყოლება შვილი, მიეცი მას ის სიყვარული, რომელიც ჩემთვის უნდა მოგეცა. მან მაინც შეიგრძნოს შენი ხელების სითბო, ესმოდეს შენი ლოცვის ხმა. განანათლე იგი წმიდა ნათლისღებით, რომ ამ ქვეყანაში ჩემსავით ბრმა არ შემოვიდეს, და თუკი ის ჩვილი გარდაიცვლება – თავის კუბოზე მაინც გაიგონოს ეკლესიის ღაღადისი, ცაში კი ანგელოსთა გალობა. მიეცი მას ის, რაც მე მომაკელი.

გახსოვდეთ!

ჩასახვიდან 18 დღის შემდეგ იწყება ჩანასახის გულისცემის შეგრძნება და მოქმედებაში მოდის განსაკუთრებული, მისი საკუთარი სისხლის მიმოქცევა.

-7 კვირაზე ჩანასახს უფიქსირდება ტვინის იმპულსები, მას გააჩნია ფორმირებული გარეგანი და შინაგანი ორგანოები: თვალები, ცხვირი, ტუჩები, ენა

-12 კვირაზე, როდესაც კანონმდებლობის მიხედვით ჯერ კიდევ დაშვებულია აბორტის გაკეთება, ბავშვის ყველა ორგანო ჩამოყალიბებულია და რჩება მხოლოდ განვითარება. ბავშვი უკვე აბრუნებს თავს, მუშტს კრავს, იმანჭება, ჰოულობს პირს და ლოკავს თითს.

აბორტის გაკეთებისას, გარდა სიკვდილის საშიშროებისა, თქვენ საფრთხეში აგდებთ საკუთარ თავს, დარჩეთ უშვილო (უნაყოფო) ან დაბადოთ ავადმყოფი და სუსტი (უსუსური, მოდუნებული) ბავშვები.

-აკეთებს რა ოპერაციას ფეხმძიმობის შესაწყვეტად, ექიმი ორჯერ არღვევს ჰიპოკრატეს ფიცს: ჯერ ერთი, რომ ჰიპოკრატეს ფიცი პირდაპირ კრძალავს მსგავს ქმედებას, მეორე – ირღვევა მედიცინის პირველი მცნება! „არ ავნო"! („ზიანი არ მიაყენო!")

- შვილის მკვლევლობის ცოდვა არ-თმევს მშობლებს ღვთის მადლს (წყალობას). ძველად, წმ. წერილის თანახმად, ასეთი ქმედების ჩამდენნი ეკლესიიდან 20 წლით განიკვეთებოდნენ.

- შვილის მკვლელობის ცოდვა შეჰლაღადებს ღმერთს შურისგებაზე (შურისძიებაზე) და ითვლება მომაკვდინებელ ცოდვაზე უარეესად. ამიტომ, დაუბადებელი ბავშვის მკვლელობისას, მშობლები თვითონ იკლავენ თავს.

- რადგანაც დაუბადებელ ბავშვს, ისევე როგორც მოზრდილს, აქვს თავისი სული, სიკვდილის შემდეგ მოხდება მშობლების შეხვედრა მათ მიერ მოკლული შვილების სულებთან.

შენიშვნა: ღვთის წინაშე უდიდეს ცოდვად ითვლება აგრეთვე არამარტო აბორტის გაკეთება, არამედ ყოველგვარი ჩასახვის სანინააღმდეგო სხვადასხვა საშუალებების მიღება. ცოლ-ქმრის ხორციელი ურთიერთობა უნდა ემსახურებოდეს შვილთა სხმას (შვილიერებას). წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ურთიერთობა ჩაითვლება მრუშობად, კაცისკვლად, ბილწებად და სხვა ყოველგვარ უწმინდურებად. ქალი ცხონდება შვილთა სხმით სარწმუნოებითა და სიყვარულით. აი, რა არის უმთავრესი მოვალეობა ოჯახისა, ხოლო წინააღმდეგნი ამისა – მემრუშენი, მეძავნი, კაცისმკვლელნი და სხვა მრავალი ცოდვის მოქმედნი ცათა სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ. – შეინანეთ და მოიქეცით!

მასალა მოგვაწოდა
მამა ლაზარემ (კანდელაკი)

ხსოვნა

მერი ბოკერია-გამსახურდია



მერი ბოკერია დაიბადა სოფელ ძველ აბაშაში 1926 წლის 26 მაისს, მამა, მიხეილ ბოკერია იყო აბაშის რაიონის რაიკომის მდივანი 30-იანი-40-იან წლებში. დედა კალისტინა გამსახურდია წარმოშობით გახლდათ ძველი აბაშიდან. მერიც იქ დაიბადა და სწორედ ამ ფუძიდან დაიწყო მან სწავლა – განათლების მიღება, ითვისებდა სიმართლეს, სიკეთეს, პატიოსნებას.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მეაბრეშუმეობის განხრით, მუშაობდა ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში საამქროს ხელმძღვანელად. სიმართლე, პირუთვნელობა, პირდაპირობა იყო მისი ხასიათის მთავარი შტრიხები. ის თავდადებით იბრძოდა კორუმპირებული და გადაგვარებული ელემენტების წინააღმდეგ, იცავდა მშრომელი ხალხის ინტერესებს, არა ერთხელ გამოსულა მაღალი ტრიბუნიდან და დამსწრე საზოგადოებას ტაშით დაუჯილდოვებია ყოველთვის, სწორედ ასეთი ჯილდო იყო მისთვის დიდი სიმდიდრე. იყო შესანიშნავი დიასახლისი. არა ერთი და ორი სუფრა დაუმშვენებია მის ნახელავს. ეძახდნენ „ოქროს ხელებას". შესანიშნავი ნიჭი და მეხსიერება ჰქონდა. იგი იყო ეროვნული მოძრაობის თავდადებული წარმომადგენელი. ეროვნული მთავრობის დამხობის შემდეგ არ დაუკარგავს რწმენა და საქმითა და კალმით ებრძოდა პუტჩისტებს.

კითხულობთ ქალბატონი მერის ლექსებს და გრძნობთ მართალი, წრფელი გულის ძახილს, საოცარ უნარს სათანადოდ „შეამკოს" ცრუპატრიოტები და ქვეგამხედვარნი.

„ხალხის სახელით მოვაჭრეთ
საქმე აკეთეთ „საქები"
ქართველები რომ დახოცეთ
ავტომატით და ტანკებით"!

ვითომდაც ქვეყნის გულშემატკივართ, სინამდვილეში კი კრიმინალურ ბანდებსა და მათ მესვეურთ იგი ამგვარად ეხმიანებოდა

„თბილისი ხომ დაანგრიეთ,
გადაბუგეთ და გადაწვით,
აღარც ეს საქმე იკმარეთ,
სამეგრელოსაც გადაწვდით.
იმიტომ ჰქვია „იუდას"
ზედგამოჭრილი სახელი,
რომ მართლაც იუდაა და
მრავალი ცოდვის ჩამდენი".

ხალხის ბრძენი და შეუმცდარია. მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ეცადნენ, ვერ ამოშალეს მისი გულიდან ეროვნული გმირის, ქვეყნის პირველი პრეზიდენტის სახელი, ამაზეც იბოლმებიან, ჩვენ ვისზე ნაკლები ვართო, მაგრამ ყვავები ხომ ვერასოდეს განსვენენ არწივობას.

„თქვენ კი ბრაზობთ, ძლიერ
ბრაზობთ და გაჰყვირით:
რატომ ასე?
იმიტომ, რომ რაინდია, და
მუტია ყველა სხვაზე.
იმიტომ, რომ მის გულშია
სახარების ათი მცნება
იმიტომ რომ თქვენთაგანი
მას ვერავინ შეედრება..."

ჰქონდა შესანიშნავი უნარი, გარშემო მყოფთათვისაც აეხილა თვალი. ისე დამაჯერებლად აუხსნიდა სიმართლეს, რომ სწორ გზას ამცდარი გონს მოვიდოდა და ეტყოდა: მერი, ნამდვილად მართალი ხარო.

თამამად შეიძლება ითქვას, მერი თავის რწმენას შეენირა, გულმა ვერ გაუძლო ამდენ ბოროტებას. მისი ცხედარი პატივით მიაბარეს მშობლიურ მიწას აღზრდილის (დისშვილის), მამუკას გვერდით და მუდმივი ცრემლი და ყვავილია სამშობლოს სიყვარულით გულანთებული მანდილოსნის მუდმივი თანამგზავრი.

ნუკრი იორამიშვილი



უდროოდ წავიდა ჩვენგან ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინების ყვარლის რაიონული განყოფილების წევრი ნუკრი იორამიშვილი. დიდი ტკივილითა და ნათელი მომავლის იმედით იყო აღსავსე მისი ხანმოკლე ცხოვრების გზა, ვალმოხდილი წავიდა ამქვეყნიდან, ალალი, მართალი კაცის სახელით.

გმირობა და ვაჟკაცობა, ძმობა-ერთგულება, სამშობლოს უანგარო სიყვარული, ამაღლებული მეგობრობა, ურთიერთთანადგომა, სიმართლისათვის თავდადებული სამსახური – ეს თვისებები შერწყმული, შესისხლხორცებული იყო ნუკრის ხასიათში. იგი მტკიცედ და პრინციპულად იდგა ეროვნული მოძრაობის სადარაჯოზე, კარგად ესმოდა თავისი მხედრული, მოქალაქეობრივი ვალი სამშობლოს წინაშე.

გულმა უმტყუნა, ვერ დაიტია უსამართლობასთან ჭიდილში კარგად გათვითცნობიერებული სიმართლისადმი, სიკეთისადმი დაუოკებელი ლტოლვის წყურვილი, ანკარა წყაროსავით სუფთა და უანგარო.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური ყვარლის მიწა ჩვენო ნუკრი, ახლობლებისა და თანამებრძოლების ცრემლით დანამული.

საქართველოს ჰელსინკის კავშირის
ყვარლის რაიონული განყოფილება

 პოეზია

გივი ტყეშელაშვილი დაიბადა 1959 წელს. 1982 წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი. მუშაობს ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში საფონდო განყოფილების გამგედ.

გამოქვეყნებული აქვს ათამდე წიგნი, მათ შორის: ლექსების კრებული - „ ციცინათელების კარავი“ 1990 წ. რომანი „ყაჩაღი დვალიშვილები“ - 1995. სამეცნიერო ხასიათის: „ქართულებრაული ურთიერთობანი“, სასკოლო სახელმძღვანელო „რელიგია და კულტურა“, პირველი და მეორე წიგნი.

გამოსაცემად ამზადებს წიგნს „საქართველოს საეკლესიო სიწმინდეები“.

სინანულის კვლენდარი

***

ეს ქვეყანა ძალზე ახალთახალია და ძველი...
ყოველდღე იბადება და კვდება
გუბერნატორის ჯიბეში,
სულ ლარლარებად და გროშთეთრებად.
ეს ქვეყანა შშობიარე სასაფლაო, ბატონებო,
ფეხზე ძლივს მოსიარულე მავზოლეუმი: -
ბედნიერი მათხოვრებით, კანონიერი ქურდებით,
უკანონო დეპუტატებით სავსე,
და მონტელიგენტო ბოზები - მედეას პროფილში
მარადისობის კიბეებს რომ ჰგვიან...
ეს ქვეყანა კი ყოველდღე იბადება და კვდება,
ყოველდღე იბადება და კვდება:
გაჭინაურებული პირველი ღამეებით,
გაჭიანურებული ზიარებებითა და ქელეხებით,
ე.წ. გაყინული ხელფასებით...
რადგან გუბერნატორს ჯერ კიდევ არა აქვს
პირველი ღამის უფლება,
რადგან გუბერნატორმა ჯერ კიდევ
არ იცის სიკვდილი,
რადგან გუბერნატორი უხელფასოდ იღვწის...
სამაგიეროდ მისი თანამედროვე
ერთ-ერთ ტელესერიალში
ჩინეთის საიდუმლო ელჩთან ერთად
ცდილობს ბოლოკის დახლზე
„შპაკატში“ ჩაჯდომას,
მხიარულიკო!
ოი, გულისამაჩუყებლობავ! ო, სათნოების დედავ,
რა საამოებაა ეს თეთრმანდილოსანთათვის,
ამ დემოკრატიულ აღსარებების ჟამს...
ისინი ხომ ყოველივე ამას აღიქვამენ,
როგორც რაღაც იმგვარს,
ანუ ნახტომს ხელისუფლებისაკენ -
გამლილი ფეხებით!
საზოგადოდ, უფ.გუბერნატორი თავმდაბალია
ამ დროს,
ბედის ნებიერიც - ქოთნის
ამოლესილ ლობიოსავით!
მან კარგად უწყის - რარიგ
ნეტარებით ეალერსებიან
მის სექსფიტულებს ნაფიცი მანდილოსნები,
და რა წარმოუდგენელ ორგაზმსაც
აღწევენ ხოლმე, ალაგობრივ...
... ეს ხდება დღისით, მზისით, ბნელში, უდარდელში,
სატელევიზიო მარათონის ჟამს;
ფრივოლური სახელებით:
„ალო, თქვენ გეკურკურებათ გუბერნატორი“!
და ნეტარხსენებული მანდილოსნები
უმალ გარბიან საწოლებისაკენ,
პატიოსნად აქრობენ შუქს და
თანაგრძნობას უცხადებენ
მის აღმატებულებას ენერგოკრიზისის გამო...
მან უკვე გაიკრა ჯიბეზე ნობელიანი,
ბარეორ სხვასაც მოესწრება -
ეს ქვეყანა ხომ ყოველდღე იბადება და კვდება

***

გახსოვს ღრუბლების მშობიარობა?
„პროვინციული ქართული პრესა -
დაჭრილი ვეფხის ენა,
მლაშედ გასისხლული...
ღვთისმშობლის თვალწინ
პრივატიზებული ვენახები -
უღვთოდ გაჩეხილნი:
როცა ღრუბლები მშობიარობდნენ,
როცა ოფ. IV ხელისუფლებამ
დემ. სახედრები ააყროყინა
და „ალაზნის“ ტიპის რაკეტებით
დაცხრილეს მშვიდობიანად
მშობიარე ღრუბლები...
როცა ეს ცნობა უარყო
„შაცნეს“ პროგნოზისტმა
და დასძინა:
„ლიხთიქეთური კარვის ღრუბლები
ცდილობდნენ დაესეტყვათ
დედა კახეთის ჩოჩრები...
მაგრამ... ჩვენი ვირები დაუწვნენ“-
შემდეგ როგორც ყვავ-ინფორმი იუწყებოდა!
„პროვინციული ქართული პრესა -
პორტრეტი თვალჩამობლანძულ
ლუკა რაზიკაშვილისა!
მახსოვს: დემ. საქ-ის ყვითელმა პრესამ
მოსთხოვა პირველ ხელისუფლებას -
დაუყოვნებლივ შემოეყვანა ჩრდილოეთის
ცივი ციკლონი
სუბტროპიკული მთლიანობის ასაწეწავად...
დე, სამუდამოდ დავიწყოდათ
ამ გიჟვრაცუებს
„პონტოს ევქსინოს“.
ჭაღარა აბორტმახერმა კი შეძლო
შობადობის დარეგულირება
პატრიოტულ კასტრაციის ხარჯზე!
შესაბამისად:
თებერვლის კომ. სტრუქტურებიდან
დეკემბრის დემ. სტრუქტურებში.
გარნა პარტიზან ღრუბლთა შობადობა
გრძელდება სამფეროვნად.
და აპრილ-მაისის თითო ღრუბლები
მიცურავენ ქარების საპირისპიროდ
გარანტირებული ე.წ. „თვითმკვლელობებით“.
მახსოვს ღრუბლების მშობიარობა,
პეროიკული გულისფანცქალი,
მახსოვს ყველაფერი: კონტრფაშისტები,
კონტრაკახპები, კონტრგენერლები.
კონტრსაქართველო და...
და სამკუთხედის წეროების ხმა:
Vae Victis!!!

მეცნიერება

ალიტერაცია ზვიად გამსახურდიას პოეზიაში

„ენა მუსიკალური სტიქიონის ცნობიერი გამოცხადებაა და არა მარტოოდენ „ნიშანთა სისტემა“... მუსიკის გამოუთქმელი სტიქია მარად შეუცნობი რჩება პოეტურ სიტყვაში, მისი ანარეკლია ბგერათა ევფონია, რიტმი და გლოსსოლალია.

...თანამედროვე ენაში ორი საწყისია: მუსიკალურ-ესთეტიური და ახრისმიერი... მათ შორის ბალანსი იდეალი უნდა იყოს ჭეშმარიტი პოეტური მეტყველებისა“— წერდა ზვიად გამსახურდია თავისი „მთვარის ნიშნობის“ შესავალ წერილში.

პოეტის აზრით, სიტყვამ უნდა შეინარჩუნოს ხილული სილამაზე, კეთილხმოვანება და აგრეთვე საკომუნიკაციო გრამატიკული მნიშვნელობა; სხვაგვარად პოეტური ემოციის ნაცვლად მივიღებთ მუსიკალურ ემოციას. მართალია , პოეზია უნდა დაუახლოვდეს მუსიკას, მაგრამ მან არ უნდა დაკარგოს ძირეული ჭარგა შინაარსისა, მნიშვნელობისა, ამასთანავე, მან უნდა შეინარჩუნოს ემოციის გარკვეულობაც.

ლექსების გაცნობის შემდეგ რწმუნდები: პოეტმა იდეალურად მოახერხა ბალანსი აზრსა და ფორმას შორის. არც გასაკვირია, ის ღრმად იცნობდა „ ვეფხისტყაოსანს“— ევფონიური სრულყოფილების შედევრს და თაყვანს სცემდა გალაკტიონს—ევფონიის ჯადოქარს. ნიშანდობლივია: პირველს— რუსთაველს— თავისი მეცნიერული აზროვნების მწვერვალი „სახისმეტყველება“ მიუძღვნა, მეორეს— გალაკტიონს— პოეტურ განცდათა ლამაზი კრებული.

მოგეხსენებათ, ლექსის ბგერითი წყობის მუსიკალურ-მელოდიურ განსაკუთრებულობას რითმასთან ერთად ბგერათშეთანხმებებიც ქმნის. სწორედ, ერთი და იგივე თანხმოვნის გამეორებას ეწოდება ალიტერაცია. აკაკი ხინთიბიძე ალიტერაციას ლექსის ბგერითი წყობის ყველაზე უძველეს სახეობად მიიჩნევს და თვლის, რომ ევროპულ პოეზიაში რითმიანი ლექსის წარმოშობას სწორედ ალიტერაცია დაედო საფუძვლად.

მ. ქურდიანის აზრით, ალიტერაცია ქართველური და კავკასიური უძველესი ლექსთწყობის ერთ-ერთ ძირითად სტრუქტურულ ელემენტად უნდა ვიგულისხმოთ, იგი დამახასიათებელია როგორც ფოლკლორულ, ასევე ლიტერატურულ ნაწარმოებთათვის. ალიტერაცია არის ზანური და სვანური ლექსის საფუძველი... ალიტერაციას თავდაპირველად უნდა ჰქონოდა ლექსის ბგერული ორგანიზების ფუნქცია და არა ესთეტიკური (ეს უკანასკნელი მერმინდელი მოვლენაა). რუსთაველის ცნობილი ფრაზა: „მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად“ ხომ ალიტერაციის კლასიკური მაგალითია. აქ „ ბგერათა ორგანიზება“ უკვე დასრულებულია. ტაეპს დაუკავშირდა ესთეტიკური ეფექტიც აქვს.

ზვიად გამსახურდიას პოეზიაზე ფიქრისას გიჩნდება აზრი, რომ ალიტერაცია მისი ლექსის გარეგნული გამომსახველობითი სამკაული კი არ არის, არამედ ლექსის აგების ძირითადი საფუძველი, არა თვითმიზანი, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში ერთადერთი. ზოგჯერ სათაურშივე გვხვდება მინიშნება ლექსის ხასიათსა და ფორმაზე. გალაკტიონის ლექსზე დაკვირვებისას აკაკი ხინთიბიძე შენიშნავს, რომ სათაურის თუ სათაურში ნაგულისხმევი საგნის (მოვლენის) ბგერითი აქცენტირება ლექსში სათაურის და ტექსტის შემკვრელია და ნაწარმოების თემისა და იდეის ხაზგამსმელი.

მართლაც, ზვიად გამსახურდიას ლექსის სათაური „ვეფხისტყაოსნის სიმფონია“ შეგამზადებს ბგერწერულ ხელოვნებასთან შესახვედრად, მაგრამ რაც ლექსშია, ეს მოულოდნელობის ეფექტი უფროა. თრთხმტმარცვლიანი, ე.წ. ბესიკური ლექსი ალიტერილებულია. პირველ სტროფში „ზ“ ბგერა გამყოლი ალიტერაციისაა: მოიცავს ოთხივე სტრიქონს და თექვსმეტჯერ გვხვდება:

„მულოა ზანზარულ მუზარადთა ზმად და ზარებად, (ზ-5)

ზეიდალთაებრ მზე- ზარნიშით მბზინვარე ზღვათა, (ზ-5)

ზედგამზრახველთა არგამწირავთ მუქაფის ზღვადა, (ზ-3)

ზვეარდმო ჭნარნი მუნ ამკობენ ზეშთა ზარებად.“ (ზ-3)

ლექსის მომდევნო სტრიქონებში მეღერი ბ მ ნ - სა და ყრუ: თ ს ც ჯ ხ თანხმოვნების მონაცვლეობა აკუსტიკურ შთაბეჭდილებას აძლიერებს:

„გაჭრად იჭურვის ჭარმაგოსან ჭაბუკთა ჰმუნვა (ჭ-5)

სული სათთა და სპეტ-სოსანთა იფრქვევა ნაზი, (ს-5)

ბროლის კუბონი, ბროლ-ბაკმათნი მზეობენ მუნვე...“ (ბ-5)

მეოთხე ტაეპში („გიშრის ტბათაგან ლალს მოადენს მუტრიბთა ხაზი“) ალიტერაცია თითქოს აღარაა, მაგრამ მუსიკალურობა სტროფისა მაინც შენარჩუნებულია. ლექსის ამაღლებულ განწყობილებაში სიჩუმე-სიწყნარის განცდა შეაქვს ნ თანხმოვნის ალიტერაციას: „დაბნედით განცდა სინარნარეთ და სინაზეთა“... მაგრამ ეს წამიერი სიჩუმეა, ბედისწერის შავი ნიაღვრების დინებას, „ლაღად მიმფრენი ტაიჭები შევარდენნი“ ქროლვას, უდაბნოში ლომთა გრგვინვას, „სამუმის ბუღში გაჩაღებულ მძვინვარე ომთა“ ზუსტად შეესაბამება ხ ყრუ თანხმოვნის ძლიერი ალიტერაცია: „სიხაფე ხაფთა და მათრახით ხლეჩა ხორცისა“, ასევე ც-ს ალიტერაცია: “გაფიცხება და ცას მიწევნა ცეცხლის სვეტებად“. ამას პოეტი საგანგებოდ, ემოციების გასაძლიერებლად აკეთებს, რადგან მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „თუ მწერალს არ გააჩნია ენა, რომლითაც იგი გადმოსცემს ემოციებს, ე.ი. მას არ გააჩნია არც ემოციები“ (ზ.გამსახურდია, გვ.250).

ლექსში „სიონის ელეგია“ მეღერი „დ“-ს გადასვლა ტაეპიდან ტაეპში სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს:

„აფრინდა დაფნიდან
წერადი სონღული,
დრომან ისტორიის დაზიდა
სადავე,
სიძველის სიქველე, შვება-სისადავე,
წამგვრელი რაისაც
დაეშო მონღოლი
დაბრუნდა! იხარეთ!
დროშოპმოლ სტიხარით
ლალ-იაგუნდების
შეფრქვევას ვუნღებით,
ციერნო, გვითხარით, ორმო
რად გვითხარეთ,
თუ კვლავ დადუმდებით
მთიებთა გუნდები?

ცხრა ტაეპში „დ“ თანხმოვნის ოცდაორჯერ გამეორება არ შეიძლება შემთხვევითი იყოს, არც „ს-ს“ თექვსმეტჯერ გამეორებაა შემთხვევითი. პოეტი საგანგებოდ არჩევს სიტყვებს, ფორმებს, რათა უკეთ გამოხატოს „შინაგანი სულის ქარიშხალი“. ასე რომ არ ყოფილიყო, პოეტი დაწერდა, ვთქვათ, „აფრინდა ვარდიდან“ (ვარდი ხომ პოეტური სახეა!) ლექსში მარცვალთა რაოდენობა არ შეიცვლებოდა, მაგრამ „აფრინდა დაფნიდან“ ხომ დაუვიწყარ აკუსტიკურ ეფექტს ქმნის, ხოლო “ს“ თანხმოვნისა და „სი“ მარცვლის დაჟინებითი გამეორება ამ ეფექტს კიდევ უფრო აძლიერებს.

ზვიად გამსახურდიას „მთვარის ნიშნობაში“ შეტანილი აქვს კიდევ ერთი ელეგია. როგორც გაღებულ სარკმლიდან, ლექსიდან ისე იხედება პოეტის სულის სამყარო, ფაქიზი და ღრმა. ქვაბთახევის ტკივილი ეს მისი ტკივილია, „ბედისწერის აზიმუტით“ გათვლილი. ლექსში პოეტურ შეკითხვას „მოვლენლა ის ფარშევანგები?“ მოსდევს მეღერი ზ-ს ძლიერი ალიტერაცია, რომელსაც ისევ მეღერი რ ენაცვლება:

„ზღვა ზურმუხტით მოზიმზიმეთი
გადადის ლალების რიყე ზე,
ასე შორია როს იმედი,
ლოდით დაფარული მძიმეთი,
არე რად ირევა არეთი,
ქალა — გულის სიმწუხარეთი?“

ამ შემთხვევაში ემოციური დატვირთვა სამ სიტყვაში „რე“ მარცვლის უცვლელ გამეორებაზეა გადატანილი. „ე“ ბგერის ასონანსი ევფონიური სრულყოფილებისკენ სწრაფვაა...

აკაკი ხინთიბიძე ვერსიფიკაციასთან დაკავშირებით წერდა:„ჩვენ დავაკვირდით ლექსთა სათაურების ფონეტიკურ მიმართებას თვით ლექსთან. როცა სათაური უშუალოდ გამომდინარეობს ლექსის შინაარსიდან და განწყობილებიდან. სათაურის დამახასიათებელი ბგერების ლექსში განფენილობას უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს“ (ხინთიბიძე, გვ. 253).

ამ თვალსაზრისით საინტერესო მაგალითები იძებნება ზვიად გამსახურდიას პოეზიაშიც. ლექსში „წამთა წამება“ „წ“ თანხმოვნის ალიტერაციით გამოხატულია „ნაქუხარი და ნარჩევი იმედთა შენობის“ დაქცევით გამოწვეული განწყობილება

„ალები ალებრივ ალობენ
ელვათა მტყორცნელნი ეთერად,
წამები წლებადვე წვალობენ,
მწუხრის ანგელოსნი გალობენ,
თუ მომსპარია სიკეთე რად“..

„ალები ალებრივ ალობენ“ და „წამები წლებადვე წვალობენ“ დასამახსოვრებელ პოეტურ ხატს ქმნის. ბგერწერულად მსგავსი სტრიქონები პოეტის ბევრ სხვა ლექსშიც გაიელვებს“: „დასულან სალები ლესური... ციურ ალში გავავლე სული“ (მთაწმინდა); „ალსულში ალები ალობენ... სულისა სალხენად მისისა გალობენ“. „ლ“-სა და „ს“-ს ჰარმონიული მონაცვლეობა მუსიკალურობის მაჭიმუმს აღწევს.

კონსტანტინე ჭიჭინაძისადმი მიძღვნილ ლექსიც ბგერწერულად მსგავსი სიტყვების გამეორებით იწყება:

„გველეშაპები იწვოდნენ ცაზე, რაში რაშობდა რუში რებული“ (რომელი უფრო ეფექტურია აქ „რ“ თუ „შ“?), რასაც ბუნებრივად მოსდევს ზუსტი რითმის შემცველი სტრიქონი: „გაფითრებული მიჰყვებოდა ედემის ვაზებს ცაზე კრებული“.

დარეჯან ბაძიურაძე

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)



ი. სარიშვილი:
"ზურაბ ჟვანიას ანა კარენინასავით თავი რელსზე აქვს დადებული" („სპექტრი").



ზ. ჟვანია:
"თუ ჟვანია ვერ გაამართლებს, მაშინ არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს არც ჟვანია და არც მისი მეგობრები" („ახალი თაობა").

სხვადასხვა სხვადასხვა სხვადასხვა

ექიმი

პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთება

მომზადება:

50 გრ. დინდგილაზე 60 მლ. 70 გრადუსიანი ეთილის სპირტი, 20 მლ. ეთერი. ამ ნარევს ვასხამთ მუქი ფერის ბოთლში, მოვათავსებთ ბნელ ადგილას რამდენიმე დღეს (თავი მაგრად უნდა დაეცვას). პერიოდულად შევანჯღრევთ, გახსნის შემდეგ ნარევს გავფილტრავთ დოლბანდში, დავუმატებთ 5 გრ. თაფლს 2 პროცენტიანი ფუტკრის რძით და 4 გრ.თევზის ზეთს. კარგად შევურევთ ერთმანეთს.მივიღებთ ასე: ჯერ მტკივნეული ადგილი კარგად გავწმინდოთ წყალბადის ზეჟანგით, გავაშროთ თბილი ჰაერის ნაკადით, მერე იმ ადგილას დავაწვეთებთ რამდენიმე წვეთ ნარევს. ამ დროს სპირტი და ეთერი აორთქლდება. წარმოიქმნება აპკი, რომელიც მტკივნეულ ადგილს დაიცავს ერთი დღე-ღამის განმავლობაში. პროცედურა გამეორდება ყოველდღე, 3-5-ჯერ სრულ მორჩენამდე.

მწვავე და ქრონიკული კოლიტები

მწვავე და ქრონიკული კოლიტების სამკურნალოდ გამოიყენება 20 პროცენტიანი 70 გრადუსიანი სპირტხსნარი. პაციენტი ღებულობს 40 წვეთ დინდგილას სპირტხსნარს ჭიქა წყლით ან რძით, ერთი საათით ადრე ჭამამდე, 3-ჯერ დღეში. აუცილებელია დიეტის დაცვა. მკურნალობის კურსი 20-30 დღეა.

დიასახლისს

თაფლის ნამცხვარი

1 ჭიქა შაქარი და ნახევარი ჭიქა თაფლი ათქვიფეთ 3 კვერცხთან ერთად, მიუმატეთ 1 ჭიქა არაჟანი, 150 გრამი მარგარინი, ძმარში გახსნილი 1 ჩაის კოვზი სოდა, ნახევარი ჭიქა ნიგოზი და 3 ჭიქა ფქვილი. მოზილეთ ცომი, მოათავსეთ ცხიმწასმულ ყალიბში და გამოაცხვეთ.

ნიგვზიანი ტორტი

მასალა: 3 კვერცხი, 250 გრამი შაქარი, 300 გრამი არაჟანი 300 გრამი ნიგოზი, 300 გრამი ქიშმიში, 400 გრამი ფქვილი, მეოთხედი ჩაის კოვზი სოდა, ცოტა მარილი.

მომზადება: ყველაფერი კარგად აურიეთ ერთმანეთში. მიღებული მასა მოათავსეთ ცხიმწასმულ ყალიბში ან ტაფაზე და შაქარი, 3 კვერცხი და 300 გრამი არაჟანი კარგად ათქვიფეთ. მიუმატოთ 300 გრამი დაჭრილი ნიგოზი, გამოაცხვეთ 150-160 გრადუსზე. გამოცხობის შემდეგ წაუსვით ნებისმიერი კრემი.

ლიქიორი

ერთი ლიტრი ღვინო ჩავასხათ ემალის ქვაბში, დავაყაროთ ერთი კილოგრამი შაქარი და ვადუღოთ ნელ ცეცხლზე, თან ვურიოთ. ათი წუთის შემდეგ დავასხათ ერთი ლიტრი არაყი და გადავიტანოთ მინის ჭურჭელში. ფერისათვის უმჯობესია წითელი ღვინო.

კეიმატი



☺

— არასოდეს გავხდები შენი ცოლი, საოცრად ძუნწი ხარ, აჰა, დაიბრუნე შენი ბეჭედი.

— რაო, ძუნწიო? უყურე ამას. ბეჭდის ბუდე რა უყავი?

☺

ჰიჭიკია თბილისში ღამით ჩავიდა. სადგურში ძელსკამზე ჩაეძინა. უცებ გრძნობს, ვიღაცა ქურთუკს ხდის.

— რაშია აქანა საქმე, თბილისში გაზაფხულდა?

☺

— ექიმო, დავიღუპე, მგონი შიდსი მაქვს.

— ჰოო, მაგისთვის ახტალის ტალახია კარგი.

— როგორ, ახტალა მიშველის?

— ყოველ შემთხვევაში, მიწას შეეჩვევი.

☺



მკითხავი: ნურაფრის გეშინია, სილატაკე მხოლოდ 30 წლამდე დაგტანჯავს.

- საბედნიეროდ თითქმის ამ ასაკის ვარ... მერე, მერე?

- მერე თანდათან შეეგუები.

მრუდე სარკე და სინამდვილე

მწუხარე სარკე

ა.წ. 23 მაისს რადიოსადგურ „თავისუფლებაში" გამოსვლისას სოციოლოგმა ემზარ ჯგერენაიამ განაცხადა: „ქართველი ხალხი იმსახურებს ამ ხელისუფლებას".

სინამდვილე

პატივცემული სოციოლოგი გამოირჩევა ქართველი ხალხის უარყოფითი შეფასებებით და ეროვნული ნიჰილიზმის ერთ-ერთი „დამსახურებული" იდეოლოგთაგანია. იგი „სამართლიანი" ანუ უსამართლო არჩევნების საზოგადოებაში მოღვაწეობის დროს ხელს უწყობდა არჩევნების გაყალბების გზით „ხელისუფლებაში" კორუფციონერთა კოჰორტის მოსვლას. დღეს, თვითონ ვითომ ანგელოზი „დემოკრატი" ყოველივე ამაში მოსახლეობას ადანაშაულებს. მისი სოცილოგიური პროგნოზები ყოველთვის ემთხვეოდა „არჩევნების" ანუ დანიშვნების შედეგებს.

ღმერთო, დაიფარე საქართველო ასეთი „მარგინალებისა" და „დემოკრატებისაგან".

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
ტარიელ ფუტკარაძე

რედაქტორთა საბჭო:
გიორგი აფრიდონიძე (სხვადასხვა ამბები), ონისე ბანძელაძე (პასუხისმგებელი რედაქტორი), ეკა დადიანი (მეცნიერება), მანანა ტაბიძე (დისკუსია), ილია ჭრელაშვილი (მხატვრობა), ლელა ხაჭაპურიძე (საზოგადოება)

რედაქციის მისამართი:
ქუთაისი, ქუჩაძის 32
ტელ.: (8-231) 2-16-03
(8-22) 22-15-87
მობ.: (877) 47-69-30
ელ. ფოსტა: kuji@posta.ge

გაზეთი რეგისტრირებულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში №12/5/ე-4818